



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თამარ მურვანიძე

ბაზელის კომიტეტი და საბანკო რეგულაციები საქართველოში

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

მოდული: ფინანსები და საბანკო საქმე

ხელმძღვანელი: მათა გოგოხია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

თბილისი

2019

## ანოტაცია

საბანკო რეგულირება, ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემაში მნიშვნელოვან სამართლებრივ ელემენტს წარმოადგენს. იგი არის ბანკების მიმართ მოთხოვნათა დაცვის სპეციფიკური სისტემა. საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესთან ერთად საბანკო სექტორიც განსხვავებულ, სხვადასხვა წინააღმდეგობრივი ხასიათის პრობლემებსა და გამოწვევებს აწყდება.

ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოში ჩამოყალიბდა ორდონიანი საბანკო სისტემა, რომელიც ამჟამად თავისი განვითარების სრულყოფის პროცესში იმყოფება. საქართველოს ეროვნული ბანკი ითვალისწინებს იმ რეკომენდაციებს, რომლებსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ასევე საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი გამოსცემს. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის პრინციპის თანახმად საბანკო ზედამხედველობის მთავარ ამოცანას სისტემის ჯანსაღი და უსაფრთხო ფუნქციონირება უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოში საკმაოდ აქტუალურ საკითხად ითვლება საერთაშორისო საბანკო რეგულირება, განსაკუთრებით მას შემდგომ რაც ბაზელი III-ის დანერგვა დაიწყო. ეტაპობრივად განახლდა საბანკო ზედამხედველობის ჩარჩო. ჯერ კიდევ 2014 წელს, როცა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ჩაერთო საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ეროვნული ბანკის ერთობლივი მისიის ფარგლებში განხორციელებულ ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამაში. 2017 წლის ბოლოდან დაინერგა პილარ-3 ის პროგრამა, რომელიც მიმართულია ნებისმიერი ბანკის რისკ-მენეჯმენტის განვითარებისათვის. 2019 წელი საკმაოდ მრავალმხრივი საზედამხედველო პროცესები გატარდა ეროვნული ბანკის მიერ, მიღებულ იქნა კომერციული მართვის კოდექსი, დაწესდა ახალი რეგულაციები სესხების გაცემის მიმართულებით, რაც ჭარბვალიანობის პრობლემის გადაჭრას გულისხმობდა. ამას გარდა, ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტუალური გახდა ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვა და ინოვაციური სისტემების შემუშავება.

## The Basel committee and the Banking regulations in Georgia-Tamar Murvanidze

### Annotation

Banking regulation is an important legal element in the country's financial-credit system, which in turn is a specific system of protection requirements for banks. Together with the process of transition to Georgia's market economy, the banking sector also goes through a different field and encounters various contradictory problems and challenges.

During the last twenty years, Georgia has developed a two-way banking system, which is currently in the process of development. Accelerating the monetary credit system in transition economies is one of the main directions of stabilization of the economy. The National Bank of Georgia takes into account the recommendations, which are published by the International Monetary Fund and the Basel Committee of Banking Supervision. The basic task of banking supervision is to provide a healthy and safe functioning system in accordance with the Basel Committee's banking supervision.

The most important issue in Georgia is the international bank regulation, especially after the introduction of Basel III. In 2014, when the Association Agreement with the EU was signed, it got involved in the financial sector evaluation program implemented by the International Monetary Fund and the NBG joint venture. From the end of 2017, the Pillar-3 program was launched to develop any bank's risk management. In 2019, quite multilateral surveillance processes were adopted by the National Bank, Commercial Code of management was adopted, the new regulations for loan issuance were meant to solve problems of excessive debts. In addition, the introduction of financial technologies and development of innovative systems has become quite urgent in recent years.

## სარჩევი

შესავალი .....	5
თავი1 ბაზელის კომიტეტი	
1.1 ზოგადი მიმოხილვა.....	9
1.2 ბაზელი - ბაზელის შეთანხმება კაპიტალზე.....	11
1.3 ბაზელი II - კაპიტალის ახალი ჩარჩო-პირობები.....	14
1.4 ბაზელი III – 2007-2009 წწ ფინანსური კრიზისის საპასუხოდ.....	15
1.5 ბაზელის კომიტეტის როლი საბანკო ზედამხედველობის განხორციელებაში .....	18
თავი 2 მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტები	
2.1 ინსტრუმენტთა არსი და მათი გამოყენება .....	19
2.2 სისტემური ბუფერი.....	21
2.3 კაპიტალის კონტრიკულური ბუფერი .....	24
2.4 სხვა მაკროპრუდენციული ინსტრუმენტები .....	26
2.5 ჭარბვალუანობა .....	29
თავი3 საბანკო ზედამხედველობის განვითარება ბაზელ III-ის საფუძველზე (უახლოესი პერიოდი)	
3.1 ეროვნული ბანკის რეფორმები .....	35
3.2 საბანკო საზედამხედველო ჩარჩოს განვითარება 2018 წ .....	37
3.3 კაპიტალის ადეკვატურობა.....	42
3.4 ლიკვიდობის სტანდარტები.....	48
3.5 ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა .....	53
3.6 ბაზელი III საერთაშორისო ასპარეზზე.....	56
თავი 4 თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარება და მისი რეგულაცია	
4.1 ზოგადი მიმოხილვა.....	60
4.2 ფინანსური ტექნოლოგიების ბაზრები და გავრცელების არეალი .....	66
4.3 საქართველოში განხორციელებული ფინანსური ინოვაციები (Fintech in Georgia) .....	69
დასკვნა .....	77
გამოყენებული ლიტერატურა.....	80

## შესავალი

თემის აქტუალობა. ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემაში მნიშვნელოვან სამართლებრივ ელემენტს წარმოადგენს საბანკო რეგულირება, რომელიც, თავის მხრივ, არის ბანკების მიმართ მოთხოვნათა დაცვის სპეციფიკური სისტემა. საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესთან ერთად საბანკო სექტორიც განსხვავებულ ასპარესზე გადის და აწყდება სხვადასხვა წინააღმდეგობრივი ხასიათის პრობლემებსა და გამოწვევებს.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქართულმა საბანკო სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და ამჟამად თავისი განვითარების სრულყოფის პროცესში იმყოფება. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ფულად-საკრედიტო სისტემის რეფორმირების დაჩქარება ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. ამ პრობლემის აქტუალობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ საბანკო სისტემის განვითარების კვალდაკვალ მიმდინარეობს ფინანსური კრიზისები, რაც უმაღლვე ჰპოვებს ასახვას ამ სექტორზე. გარდა ქვეყნის შიგნით რეგულირებისა, ასევე საჭიროა საერთაშორისო დონეზე კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაც. საქართველოს ეროვნული ბანკი ითვალისწინებს იმ რეკომენდაციებს, რომლებსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ასევე საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი გამოსცემს. თითოეული სახის რეკომენდაცია არის ზოგადი ჩარჩო-სქემა ნებისმიერი ქვეყნის საბანკო სექტორისათვის. ცენტრალური ბანკები ეტაპობრივად ითვისებენ მათ და შიდა რეგულირების მექანიზმებით არგებენ ქვეყნის რეალობას. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის პრინციპის თანახმად საბანკო ზედამხედველობის მთავარ ამოცანას სისტემის ჯანსაღი და უსაფრთხო ფუნქციონირება უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოში საკმაოდ აქტუალურ საკითხად ითვლება საერთაშორისო საბანკო რეგულირება, განსაკუთრებით მას შემდგომ რაც ბაზელი III-ის დანერგვა დაიწყო. ეტაპობრივად განახლდა საბანკო ზედამხედველობის ჩარჩო და როცა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ჩაერთო საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ეროვნული ბანკის ერთობლივი მისიის ფარგლებში

განხორციელებულ ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამაში. მესამე წელია, რაც დაინერგა პილარ-3 ის პროგრამა, რომელიც მიმართულია ნებისმიერი ბანკის რისკ-მენეჯმენტის განვითარებისათვის. განსხვავებულია შეფასებათა ის კრიტერიუმები, რომლებიც რისკთა სხვადასხვა სახეობას განაპირობებს. შემოღებულ იქნა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტიც, რაც გულისხმობს შემდგომში ბანკების მოქნილ, სანდო საქმიანობას. შეიცვალა კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები. შესაძლებელია მიმდინარე პერიოდში ამან გამოიწვიოს ნეგატიური პროცესებიც, თუმცა დროის პერიოდი გვიჩვენებს დგამს თუ არა საქართველოს ეროვნული ბანკი პროგრესულ ნაბიჯს საბანკო რეგულირების მიმართულებით. 2019 წელი საკმაოდ მრავალმხრივი საზედამხედველო პროცესები გატარდა ეროვნული ბანკის მიერ, მიღებულ იქნა კომერციული მართვის კოდექსი, დაწესდა ახალი რეგულაციები სესხების გაცემის მიმართულებით, რაც ჭარბვალიანობის პრობლემის გადაჭრას გულისხმობდა. ამას გარდა, ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტუალური გახდა ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვა და ინოვაციური სისტემების შემუშავება. ამ მხრივ ეროვნული ბანკიც და წამყვანი კომერციული ბანკები დიდ ფინანსურ რესურსებს იყენებენ ტექნოლოგიური პროცესების მხარდასაჭერად.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** ნაშრომის, “ბაზელის კომიტეტი და საბანკო რეგულაციები საქართველოში“, ძირითად მიზანს წარმოადგენს, საქართველოში არსებული საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის საფუძველზე, მისი ფორმირებისა და ფუნქციონირების შემდგომი სრულყოფისათვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, საბანკო რისკების მართვის პროცესის გაუმჯობესება და სრულყოფა აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკების გამოყენებით. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები: საერთაშორისო რეგულირების მექანიზმების გამოყენებით საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება და დაგეგმილი რეფორმების შესრულებისათვის ბანკების საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** კვლევის საგანია საერთაშორისო საბანკო რეგულირება, როგორც ქვეყნის საფინანსო-საბანკო სექტორის შემადგენელი ნაწილი, ხოლო მისი ობიექტია ბაზელ

III, როგორც ახალი ნაბიჯი, მასთან დაკავშირებული ტენდენციები და გამოწვევა კომერციული ბანკებისათვის.

**კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი/მეთოდები.** თემის ძირითადი საგნიდან გამომდინარე, კვლევისათვის გამოყენებულია ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკური და შედარებითი ანალიზის მეთოდები. ამას გარდა თემის სტრუქტურა მოითხოვდა აღწერითი სახის კვლევასაც, რათა გამოვლენილიყო ძირითადი ტენდენციები და შეფასებები. დიდი ნაწილი ეთმობა ანალიტიკურ მეთოდსაც, საბოლოო შედეგები დაფუძნებულია არა მხოლოდ მოვლენების აღწერაზე, არამედ მათი განვითარების მიზეზებზე.

**კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი მიგნებები.** სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი თემატიკა და პრობლემები დღევანდელი მოვლენების აღწერის შედეგად არის მიღებული. ნაშრომი ბაზელის კომიტეტის ძირითად როლს და მისი გავლენის შეფასებას გულისხმობს, ასევე სეზ-ის მიერ გადადგული ნაბიჯებს. ძირითადი მიგნებებია ეთიკის კოდექსის დანერგვა და მისი შედარება სხვა ქვეყნების ანალოგიურ კანონებთან, ჭარბვალიანობის, ლიკვიდობის მაჩვენებლების ზეგავლენა ქართულ საბანკო რეალობაზე, რამდენადაა საკმარისი სეზ-ის მიერ განხორციელებული პროცესები.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** ნაშრომი 4 თავს მოიცავს, თითოეული თავი რამდენიმე ქვე-თავად არის წარმოდგენილი. პირველი და მეორე თავი ძირითადად თეორიული საკითხებითაა წარმოდგენილი. პირველ ნაწილში აღწერილია ბაზელის საბანკო რეგულაციების კომიტეტის ჩამოყალიბების და მისი განვითარების ისტორია, მისი ძირითადი დოკუმენტები, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს საერთაშორისო დონეზე. მეორე თავში წარმოდგენილია სეზ-ს ხელთ არსებული და შემუშავებული მეთოდები, რომლებსაც ქართული საბანკო სექტორის განვითარებისთვის იყენებს. მესამე თავი უშუალოდ ეხება ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ პროცესებს, რომლებიც ეფუძნება ბაზელის კომიტეტის მიერ შედგენილ მოთხოვნებს. ბოლო ნაწილი თანამედროვე ტენდენციების, ტექნოლოგიური რევოლუციის პროდუქტებს ეხება. საბანკო სექტორიც

უნდა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს. ამ თავში აღწერილია საერთაშორისო  
გამოცდილება და ჩვენი ქვეყნის მიღწევები.



## თავი1

### ბაზელის კომიტეტი

#### 1.1 ზოგადი მიმოხილვა

საბანკო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად მიმდინარეობს. ეს გამოწვეულია სახელმწიფოს ისტორიული და პოლიტიკური ფაქტორით. ისტორიულ ფაქტორად გვევლინება განვითარების სხვადასხვა დონე და საბანკო სისტემისადმი განსხვავებული მიდგომა. პოლიტიკური ფაქტორი კი ვლინდება საბანკო სექტორის გარემოში, სადაც ადგილობრივი სტრუქტურა არის გამართული და ნაყოფიერ ნიადაგს იძლევა უცხოური ბანკების მოსაზიდად და კაპიტალდაბანდებისთვის.(ბ.ყიფიანი 2001წ)

სახელმწიფოები იმ დასკვნებამდე მივიდნენ, რომ საჭირო გახდა არამარტო შიდა სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების განვითარება, არამედ საერთაშორისო სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფთა ინსტიტუციონალურ და ნორმატიული მექანიზმებით ხელმძღვანელობას. აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია და დააჩქარა ამ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება.

ბაზელის კომიტეტი-საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის კომიტეტი დაარსდა 1974 წლის ბოლოს 10 ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ, მას შემდეგ, რაც საბანკო ბაზრის მდგომარეობისა და სხვადასხვა ქვეყნებში საბანკო დაწესებულების ზედამხედველობის სფეროში წამოიჭრა რიგი პრობლემები. ამ ორგანიზაციის დაფუძნების ფაქტობრივ მიზეზად იქცა იმ წელს დასავლეთ გერმანული ბანკის „ბანკჰაუს ჰერშტატის“ გაკოტრება, რომელმაც დადი სააასვა არა მარტო აღნიშნულ ქვეყანას, არამედ იმ სახელმწიფოების საბანკო სფეროსაც, სადაც მისი ფილიალები მდებარეობდა.

კომიტეტი აყალიბებს საბანკო ზედამხედველობის საერთო სტანდარტებსა და რეკომენდაციებს მათ შესასრულებლად. რაც შეეხება G10-ს, ეს არის ქვეყნების ჯგუფი, რომელმაც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გენერალურ შეთანხმებას მოაწერა ხელი. ამ დოკუმენტის საფუძველზე სესხები უნდა გაცემულიყო შემდეგ ქვეყნებზე: ბელგია, დიდი

ბრიტანეთი, დასავლეთ გერმანია, იტალია, კანადა, ნიდერლანდები, საფრანგეთი, შვედეთი, აშშ, იაპონია. შვეიცარია ამ საერთაშორისო სავალუტო ჯგუფს 1964 წელს შეუერთდა, მაგრამ ამ ჯგუფის სახელწოდება უწინდელი დარჩა.

თავიდანვე, ბაზელის კომიტეტის შემადგენლობაში ლუქსემბურგის წარმომადგენლებიც შევიდნენ, ხოლო ესპანეთი ამ ჯგუფის წევრი 2001 წლიდან გახდა. ამჟამად, ამ კომიტეტის შემადგენლობაში 27 ქვეყნის ცენტრალური ბანკისა და საბანკო ზედამხედველობის წარმომადგენლები შედიან. უკვე დასახელებული 13 ქვეყნის გარდა, ამ ორგანოს 2009 წელს შეუერთდნენ არგენტინა, ავსტრალია, ბრაზილია, ჩინეთი, ჰონკონგი, ინდოეთი, ინდონეზია, კორეა, მექსიკა, რუსეთი, საუდის არაბეთი, სინგაპური, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, თურქეთი.

მისი არსებობის პერიოდიდან კომიტეტს საბანკო სამიანობის სხვადასხვა მიმართულებით ათობით დოკუმენტი აქვს შემოშავებული, რომელთა შორისაა: კაპიტალის საკმარისობის, სხვადასხვა სახეობის რისკების, საკრედიტო-სადეპოზიტო ორგანიზაციების კორპორატიული მართვის საკითხები. ბაზელის ერთ-ერთ პირველ დოკუმენტად იქცა 1975 წელს შედგენილი მოხსენება, რომელმაც „კონკორდათ 1975“ სახელწოდება მიიღო. იგი სარეკომენტაციო ხასიათს ატარებდა და ეყრდნობოდა 5 პრინციპს: (ვ.სამსონაძე 2014წ)

- უცხოურ საბანკო დაწესებულებაზე ზედამხედველობა წარმოადგენს რეგისტრაციის (წარმოშობის) ქვეყნისა და მდებარეობის ქვეყნის საზედამხედველო ორგანოების კომპეტენციას;
- უცხოური საბანკო დაწესებულება არ უნდა დარჩეს ზედამხედველობის გარეშე;
- ქვეყნის საზედამხედველო ორგანოს კომპეტენციაში შედის კონტლორი ლიკვიდობაზე;
- გადახდისუნარიანობაზე კონტროლი ევაება რეგისტრაციის ქვეყნის ორგანოს, თუ საუბარია უცხოურ ფილიალზე, ხოლო ადგილობრივი ფილიალის შემთხვევაში- მდებარეობის ქვეყნის ორგანოების კომპეტენციაა;

- პრაქტიკული თანამშრომლობა გულისხმობს სახელმწიფოთა ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლას, მ.შ. ქვეყნის საზედამხედველო ორგანოთა მიერ ინსპექტირების ჩატარებას იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობს ფილიალი.

ბაზელის კომიტეტმა მიიჩნია, რომ გლობალიზაციის პირობებში მთავარი პრინციპი არის საერთაშორისო საბანკო სისტემის უნარის გაძლიერება კრიზისებისადმი წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისით. შესაბამისად, კომიტეტმა პირველ რიგში მოახდინა ნაციონალური ბანკების სტანდარტიზირება საბანკო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების მიმართ, რადგან დაბალი მოთხოვნები კაპიტალის ადექვატურობისადმი ანუ მაღალი ლევერიჯი ნიშნავს, რომ ბანკს შეუძლია გამოიყენოს უფრო მეტი მოზიდული სახსრები აქტიური ოპერაციების დასაფინანსებლად, რაც ამცირებს რა დაფინანსების ღირებულებას ზედის რენტაბელობას ანუ მომგებიანობის მაჩვენებელს.

ბაზელის კომიტეტს გამოშვებული აქვს საბანკო რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების მთელი სერია, რომელიც ცნობილია ბაზელი I, ბაზელი II და ყველაზე უახლესი ბაზელი III სახელით.

## 1.2 ბაზელი I - ბაზელის შეთანხმება კაპიტალზე

საერთაშორისო საბანკო აქტივებზე ზედამხედველობის დაარსებიდან, კაპიტალის ადექვატურობა გახდა მთავარი მიზანი კომიტეტის საქმიანობისა. 1980-იან წლების დასაწყისში თავი იჩინა საბანკო კრიზისმა, რასაც იტალიური ბანკის „ბანკო ამბროზიანოს“ გაკოტრება დაედო საფუძვლად. ძირითადი პრობლემა საბანკო არაერთგვაროვან გაგებასა და ინტერპრეტაციას გულისხმობდა. კომიტეტის ყურადღება მიქცეული იყო კაპიტალის განაკვეთსა და საერთაშორისო საბანკო რისკებზე. 1988 წლის ივლისში საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის კომიტეტის ეგიდით შემუშავდა კაპიტალის გაანგარიშებისა და კაპიტალის საერთაშორისო უნიფიკაციის შესახებ შეთანხმება. პრაქტიკაში დაინერგა ბანკის კაპიტალის საკმარისობის ნორმატივი და შეთანხმება ძალაში შევიდა 1993 წელს. იგი მრავალი ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ საბაზო ორიენტირად იქცა და დღემდე აქტუალურია. ნორმატივის თავისებურება მოქმედებს საერთაშორისო

ბანკებზე. კომიტეტის მიერ უცხოურ საბანკო დაწესებულებების სამი სახესხვაობის გამიჯნვა მოხდა :<sup>1</sup>

- ✓ ფილიალები, რომლებსაც არ გააჩნიათ იურიდიული დამოუკიდებლობა და ძირითადი ბანკის ნაწილს წარმოადგენენ;
- ✓ შვილობილი ბანკები, რომლებიც იურიდიულად დამოუკიდებლები არიან, მაგრამ მათ მესაკუთრეს სხვა ქვეყანაში მდებარე ბანკი წარმოადგენს;
- ✓ ერთობლივი ბანკები, რომლებიც იურიდიულად დამოუკიდებლები არიან, მაგრამ მათი მესაკუთრეები ორი ან მეტი უცხოური ბანკის წარმომადგენელია;

კაპიტალის შეფასებით ბაზელის სისტემამ დიდი განვითარება მოიპოვა. ამ შეთანხმებით კაპიტალი 2 დონედ დაიყო:

პირველი დონე კაპიტალი <sup>2</sup> მოიცავს: ჩვეულებრივ აქციებს, გაუნაწილებელ მოგებას (რომელიც დივიდენდების დაგროვებას არ ითვალისწინებს), უვადო პრივილეგირებულ აქციებს, აგრეთვე კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიების აქციების არასაკონტროლო პაკეტი მინუს არახელშეუხებელი ძირითადი კაპიტალი. ბანკებისთვის ნებადართულია ბალანსში ის ხელშეუხებელი ძირითადი კაპიტალიც ასახონ, რომელიც ბანკის ან არასაბანკო ფირმის ნაღდ ფულზე შეძენის შემთხვევაში წარმოიქმნება. ახალი საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს, რომ ბანკის ძირითადი კაპიტალის მინიმალურად საჭირო მოცულობის განსაზღვრისას ერთობლივი კაპიტალის მოცულობიდან გამოქვითული უნდა იქნეს მისი ხელშეუხებელი კაპიტალი.

დონის კაპიტალი -მოიცავს: რეზერვებს აქტიური ოპერაციების მიხედვით, საერთო დანაკარგებზე და სესხების მიხედვით ზარალის დაფარვაზე, ვადიან პრივილეგირებულ აქციებს, სუბორდინირებულ ვალს.

ბაზელის კომიტეტის მიერ კაპიტალის საკმარისობის განსაზღვრისადმი შემოთავაზებული მიდგომა ფლობდა შემდეგ ძირითად ღირებულებებს:

- ბანკის „რეალური“ კაპიტალის მახასიათებელი იყო;

<sup>1</sup><https://www.bis.org/publ/bcbs04a.htm>

<sup>2</sup>კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდური სახელმძღვანელო-დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 25 სექტემბრის №250 ბრძანებით.

- ბანკის სტრატეგიის გადასინჯვისა და მინიმალური კაპიტალის პირობებში კრედიტების ზედმეტად გაზრდისაგან თავშეკავებას უწყობდა ხელს, ამასთან უპირატესობა ეძლეოდა არასაკრედიტო პორტფელის მოცულობას, არამედ მის ხარისხს;
- ბანკის საქმიანობი არარისკიანი წილის გადიდებას უწყობდა ხელს;
- ბანკების საქმიანობის რეგლამენტაციის შემცირებასთან მიმართებაში წახალისდებოდა, ვინაიდან სწორედ მასში ვლინდება თვითრეგულირების ძირითადი ელემენტები;
- გარესაბალანსო ვალდებულებების მიხედვით რისკების აღრიცხვის შესაძლებლობას იძლეოდა.

ბანკის კაპიტალის საკმარისობის გაანგარიშებულ შემოთავაზებულ მეთოდს ღირსებებთან ერთად რიგი ნაკლოვანებების ჰქონდა (ვ.მოსიაშვილი 2016წ)

- დონეების მიხედვით კაპიტალის ელემენტების განსაზღვრაში საკმარისი სიზუსტის არარსებობა, რამაც ცალკეული ბანკების მხრიდან კაპიტალისადმი მოთხოვნილებების შერბილება გამოიწვია;
- აქტივების რისკის ხარისხის მიხედვით არასაკმარისი დაწვრილებითი დიფერენციაცია;
- რეზერვებისადმი ოპერაციის ცალკეული სახეობების მიხედვით მოთხოვნების შემცირება;
- კაპიტალის საკმარისობის შეფასებისას მხოლოდ საკრედიტო რისკზე ორიენტაცია;
- კაპიტალის მოცულობის საბაზრო და პროცენტული რისკებისგან დამოკიდებულების არსებობა, რომელთაც ბანკის საქმიანობაზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

1977 წელს ბაზელის კომიტეტის მიერ კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის გაანგარიშებასთან დაკავშირებით, საბაზრო რისკების გათვალისწინებით შემუშავდა რეკომენდაციები. საკრედიტო რისკის განსაზღვრისთვის ყველა აქტივის შეწონვა ხორციელდება რისკის დადგენილი კოეფიციენტის შესაბამისად. 1997 წლის ივლისში კაპიტალის დონისადმი მოთხოვნის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებები განხორციელდა.

შესწორების თანახმად საბანკო ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადგენილ ვადაში ბანკებს უნდა განესაზღვრათ რისკებთან მიმართებით კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის კორექტირება. აღსანიშნავია ის რისკები, რომლებმაც გამოიწვია ეს ცვლილება, ესენია სავალო ინსტრუმენტთან დაკავშირებული რისკები, სავალუტო და სავაჭრო რისკები (ყიდვა-გაყიდვა ძვირფასი ლითონების) ბანკის ყველა ოპერაციის მიხედვით.

### 1.3 ბაზელი II - კაპიტალის ახალი ჩარჩო-პირობები

1997 წლის ივნისში კომიტეტმა შეიმუშავა კაპიტალის ადეკვატურობის ახალი ჩარჩო-პირობები, რომელმაც შეცვალა 1988 წლის შეთანხმება. 2004 წლის ივნისში გამოიცა როგორც „ბაზელი II“. იგი მოიცავდა შემდეგ სამ საკითხს:

1. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს, რომლებიც განავითარებდა და გააფართოვებდა იმ ნორმატივებს, რომელიც შემუშავებულ იქნა 1988 წლის შეთანხმებაში;
2. კაპიტალის ადეკვატურობის ინსტიტუციონალური ზედამხედველობითი რეჟიმის და შიდა აქტიური პროცესების განვითარება. მეორე კომპონენტი აძლიერებს რაც პირველ კომპონენტს ადგენს პრუდენციულ პროცესს საზედამხედველო პრინციპებთან მიმართებაში, მათ შორის შიდა აუდიტის და შიდა სარეიტინგო სისტემების შექმნას;
3. ინფორმირების ეფექტიანი გამოვლინება, როგორც საბაზრო დისწიპლინის სიმღიერისა და საბანკო პრაქტიკის გაუმჯობესებისა.

ახალი ჩარჩო-პირობა შემუშავდა კაპიტალის რეგულირების მექანიზმის გაუმჯობესებისათვის, რომელიც იხელმძღვანელებდა ახალი ფინანსური ინოვაციით რამდენიმე წლის განმავლობაში. ცვლილებების გამომწვევი მიზეზი კი იყო დაჯილდოვება და წახალისება რისკისა და კონტროლის მენეჯმენტის განვითარებისათვის.

აღნიშნული პუბლიკაცია გამოქვეყნებამდე და მის შემდეგაც 6 წლის განმავლობაში მუშავდებოდა. მაგალითად, საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობის ნორმატივები იაპონიაში დაინერგა 2007 წელს, ევროპის კავშირის ქვეყნებში - 2008 წელს, აშშ-ში - 2009 წელს ამ პერიოდის განმავლობაში კომიტეტმა განახორციელა უამრავ წარდგენითი

ლონისძიება, მოიწვია საზედამხედველო აგენტები, ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები.

შეფასების ახალი სისტემა მეთოდოლოგიური და საზედამხედველო თვალსაზრისით, მისის შემუშავების ხასიათითა და ხარისხის გათვალისწინებით, კაპიტალის საკმარისობის შეფასების მოქმედი პრაქტიკის რეფორმების ორიენტირია და განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე პირობებში მზარდი საბანკო ბიზნესის სირთულე და კომპლექსურობა საზედამხედველო ორგანოებიდან კაპიტალის საკმარისობის შეფასების სისტემის შესაბამის კორექტირებას საჭიროებს და ახალი მოდელები შემუშავება თეორიულ და პრაქტიკულ დასაბუთებაზეა დამოკიდებული.

ახალი სტანდარტის შემოღების პერიოდში დაიწყო 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისი, ყველას თვალწინ მსოფლიო საბანკო ბიზნესის ისეთი გიგანტი „ჩაიძირა“, როგორც ბანკი Lehman Brothers იყო. სხვა დიდი ბანკების გადასარჩენად ამერიკასა და ევროპაში 2 ტრილიონ დოლარამდე სახელმწიფო ხაზინიდან დაიხარჯა. იყო იმის მცდელობებიც დაემტკიცებინათ, რომ სწორედ ბაზელი II-ის შემოღებამ მოახდინა ფინანსური კრიზისის დასაწყისის პროვოცირება, რადგანაც ბანკებმა არასაკმარისი საკუთარი კაპიტალის შესავსებად ზედმეტად რისკიანი მეთოდები გამოიყენეს, რომელთა შორის ინფორმაციის ფალსიფიკაცია (საბუღალტრო ანგარიშგების დამახინჯება, ბალანსს მიღმა ოპერაციების გამოყენება) არის.

#### 1.4 ბაზელი III – 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისის საპასუხოდ

სანამ Lehman Brothers-ის კოლაფსი დაიწყებოდა აქტუალური გახდა საკითხი ბაზელი II ფუნდამენტალური ძალის ცვლილებისა. საბანკო სექტორი ფინანსურ კრიზისში მოხვდა ლევერეჯისა და არაადეკვატური ლიკვიდური ბუფერებით. მართვისა და რისკის მენეჯმენტში დაშვებული შეცდომები, როგორც არასასურველი და აუდგილო სტრუქტურული ცვლილებებისა გახდა ძირითადი მიზეზი საბანკო სექტორში სისუსტეების გამოსავლენად. არასწორად შეფასებული საკრედიტო და ლიკვიდაციის რისკებისა და კრედიტების გაუაზრებელმა ზრდამ მიიღო საკმაოდ საშიშ ხასიათი. ამ

სარისკო ფაქტორების საპასუხოდ ბაზელის კომიტეტმა შეადგინა ლიკვიდაციის რისკის მენეჯმენტისა და ზედამხედველობის პრინციპები „Principles for sound liquidity risk management and supervision“ იმ თვეშივე, სანამ ზემოთაღნიშნული ბანკი განიცდიდა კრიზისს. არსებული ფინანსური კრიზისის ფონზე შეიქმნა დოკუმენტი, რომელსაც ბაზელი III უწოდეს. იგი 2010 წლის ნოემბერში, სეულში გამართულ G20-ის სამიტზე მოიწონეს.

ფინანსური კრიზისის შედეგებთან სამწლიანი ბრძოლის გაანალიზება რეგულირების არსებული საერთაშორისო ჩარჩოსა და რისკების მართვის პრაქტიკის რამდენიმე ფუნდამენტურ ნაკლოვანებაზე მეტყველებს და მას პოტენციურად, ნებისმიერ იურისდიქციასა თუ საბანკო სისტემაზე შეუძლია გავლენის მოხდენა. ბაზელ III-ის დოკუმენტი სწორედ მსგავსი ხარვეზების აღმოფხვრისკენაა მიმართული. ბოლოგლობალური ფინანსური კრიზისისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაკლოვანება, რომელთაგადაჭრის მცდელობას ბაზელ III წარმოადგენს, შემდეგში მდგომარეობს<sup>3</sup>:

- ლიკვიდობის სუსტი მენეჯმენტი და არასაკმარისი ბუფერები;
- საბანკო სისტემაში ლევერიჯის ჭარბი ზრდისა და სესხის დამტკიცების გამარტივებული პირობების კომბინაცია;
- არასაკმარისი დონისა და ხარისხის საბანკო კაპიტალი;
- მნიშვნელოვანი ხარვეზები კორპორაციულ მართვასთან, რისკების მენეჯმენტთან და ბაზრის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

ბაზელი III არის გლობალური, ნებაყოფლობითი ნორმატიული ბაზა ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის, სტრეს ტესტირების და ბაზრის ლიკვიდურობის რისკის განსაზღვრისათვის. ეს გადაწყვეტილება შეთანხმებული იყო ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის წევრების მიერ 2010-11 წლებში და იყო დაგეგმილი მისი დანერგვა 2013 – 2015 წლების პერიოდში; თუმცა, 2013 წლის 1 აპრილიდან მან განიცადა გარკვეული ცვლილებები რამაც ამ ახალი პრინციპების დანერგვის ვადა გადაწია 2019 წლის 31 მარტამდე. მისმა მონაწილეებმა ახალი სტანდარტის ეტაპობრივად შემოღების ვადებიც

---

<sup>3</sup>საქართველოს ეროვნული ბანკი-წლიური ანგარიში 2010წ.



დაადგინეს. იგი 2013 წლის 1 იანვრიდან ამოქმედა. ახალი დოკუმენტი ძალიან რთული შინაარსის, დიდი მოცულობისაა, რომელიც 800-მდე გვერდს მოიცავს. ყურადღება უნდა მიექცეს მის შემდეგ თავისებურებებს:(ვ.სამსონაძე 2014წ)

1. ამ სტანდარტის შემოღების ბოლო ვადა 2019 წელია. სხვაგვარად – ეს სტანდარტი არ არისმკაცრი, ბანკებს მანევრირებისათვის საკმაო დროს აძლევს.
2. ბანკების საკუთარი კაპიტალის საკმარისობის ზედაზღვარი გაიზარდა, მაგრამ არა იმდენად, რომ ახალი კრიზისები იყოს თავიდან აცილებული.
3. გაიზარდა საზედამხედველო ორგანოების მხრიდან სუბიექტური ფაქტორის როლი ბანკის შეფასებისას.
4. საკუთარი კაპიტალის სტრუქტურაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ოქროს, როგორც ფინანსურ აქტივს.

ბაზელმი III-მა მსოფლიო საბანკო სიტემას წარუდგინა კარდინალური ინოვაციები, რომლებიც დაფუძნებული იყო წარსულის გამოცდილებასა და შეცდომებზე. რეგულაციათ უმრავლესობ აუცილებელი ინდიკატორად იქცა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი სტანდარტი სავალდებულო ინდიკატორთა სიაში მოექცა. ამასგარდა, მინიმალური კაპიტალის განაკვეთი ორი ინდიკატორის, კაპიტალის ადეკვატურობის გამოთვლას ეფუძნებოდა. (ითვლებოდა რისკის ფაქტორის გათვალისწინებით და მის გარეშე). მაგრამ, ამავდროულად ევროპისთვის ეს კოეფიციენტი შედარებით საფრთხის შემცველი აღმოჩნდა, ამიტომაც უშუალოდ მიღებულ დიტრექტივას მიჰყვა. Basel III phase-in arrangement შემოიღო არსებული კოეფიციენტების სრულიად ახალი მაჩვენებლები, კონტრციკლური ბუფერი 0-2,5 %-მდე მერყეობს. ეროვნულ დონეზე ბუფერის მაჩვენებელი გამოხატავს დამოკიდებულებას მთლიან შიდა პროდუქტში კერძო და არაფინანსური სექტორის სესხის წილს და ასახავს მის გრძელვადიან ტრენდს. შეიცვალა ლიკვიდობის მაჩვენებლებიც, შედარებით ახალი რეგულაციაა (NSFR).

ბაზელმი III-ზე გადასხვა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად მოხდა, რაც აშკარად მოსალოდნელი იყო. ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც მანამდე ბაზელ II-ს ეფუძნებდნენ, უმტკივნეულოდ გადავიდნენ ახალ სტანდარტზე. ამერიკის შეერთებული

შტატებმა დაიწყო ახალი სტანდარტისმორგება, იმპლემენტაცია ბაზელი I-ის ბაზაზე. იაპონიაში, სინგაპურსა და ავსტრალიაშიც მიიღეს ცვლილებები, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპაში, შუა აღმოსავლეთში, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში ბოლომდე ვერ დაინერგა. ეს გამოწვეული იქნა ნაციონალური ბანკების მხრიდან არსებული საზედამხედველო მექანიზმისა და პოლიტიკის განსხვავებულობით. ყველა ქვეყანას სხვადასხვა საბანკო რეგულაცია აქვს მორგებული. მათი სამართლებრივი სხვადასხვაობა კი იწვევს სიახლეთა არადროულ მიღებას. ბოლო პერიოდის განმავლობაში ბაზელის საზედამხედველო კომიტეტის წევრები აქტიურად ჩაერთნენ სისტემურ ფორმირებაში.

### 1.5 ბაზელის კომიტეტის როლი საბანკო ზედამხედველობის განხორციელებაში

ბაზელის კომიტეტი საკვანძო როლს ასრულებს საბანკო ზედამხედველობის განხორციელებაში. ის წარადგენს საბანკო სექტორში რეგულაციებს, აწესებს მიმართლებებს მთელი მსოფლიოს მაშთაბით. კომიტეტის წევრობა მკაცრი რეგლამენტით განისაზღვრება და ამჟამად 28 ქვეყანის ცენტრალურ ბანკს აერთიანებს. კომიტეტის მიერ წარდგენილი ჩარჩო პირობები სავალდებულო ხასიათის არაა და მისი გამოყენება ნებისმიერ ბანკს შეუძლია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მის წევრ ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში ნამდვილად ხორციელდება კომიტეტის მიერ მიღებული საზედამხედველო წესების გათვალისწინება და მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერაც, რაგდან საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან და სხვა საელტაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობისათვის აუცილებელია მათი გათვალისწინება. ამ ნებაყოფლობითი ხასიათიდან გამომდინარე კომიტეტის ზეგავლენა მაღალია, წსების დაცვა ცენტრალური ბანკის მთავარ მიმართულებად იქცევა ხოლმე, როგორც ამას ჩვენი ქვეყნის შემთხვევაშიც ვხედავთ. ბოლო 2 წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარეობს საზედამხედველო პოლიტიკის გამკაცრება და სხვადასხვა რეგულაციების განხორციელება, რომელსაც მოგვიანებით დავუბრუნდები. მაგალითად ბაზელ III დანერგვის პროცესი საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა. გარდა ამისა მონიტორინგსაც ახორციელებს და ამოწმებს შესრულების დროულობას და გადახრებს. მაგალითად 2018

წლის 9 ივლისს თბილისში გამართული კონფერენცია ბაზელ III-ის რეფორმის დასრულებას, სტრეს-ტესტების მეთოდოლოგიას და ჭარბვალუარიანობის რისკების შემცირების მიზნით, გადახდისუნარიანობის ანალიზის საკითხებს მიეძღვნა. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაეზიარებინათ კონფერენციის თემატიკასთან დაკავშირებული თავიანთი პრაქტიკა და მოესმინათ წევრი ქვეყნების გამოცდილება

## თავი 2

### მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტები

#### 2.1 ინსტრუმენტთა არსი და მათი გამოყენება

საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის ფარგლებში, ახორციელებს საბანკო ზედამხედველობას. ეროვნული ბანკის, როგორც საბანკო ზედამხედველის მანდატი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის 95-ე და 96-ე მუხლებით, საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონით, საქართველოს კანონით კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო სექტორს არეგულირებს რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპებზე დაყრდნობით. ზედამხედველობის ფარგლებში ხორციელდება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული სტანდარტებისა და პრინციპების დანერგვა კომერციული ბანკებისათვის. საქართველოს ეროვნული ბანკი აუმჯობესებს საზედამხედველო ჩარჩოს მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.<sup>4</sup> ბაზელის კომიტეტის ჩარჩო-პირობების გათვალისწინებით ეროვნული ბანკი აწესებს გარკვეულ სტანდარტებს: კაპიტალის და ლიკვიდურობის სტანდარტებს, აფასებს კომერციული ბანკების ფინანსურ გამჭირვალობას და სწავლოს საბანკო სექტორში გამოვლენილ რისკებს.

დროთა განმავლობაში 2010 წლიდან დღემდე იხვეწება და ვითარდება ის გზა, რომელიც საერთაშორისო რეგულირების მექანიზმით არის განპირობებული. როგორც ეროვნული ბანკის ოფიციალურ საიტზე ვკითხულობთ კომეციული ბანკების კაპიტალის მოთხოვნები განისაზღვრება ბაზელ III-ის სტანდარტებითა და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 575/2013 რეგულაციითა და 2013/36/EU დირექტივით.

კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები შესაბამისობაში მოვიდა და თავსებადი გახდა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ დაწესებულ კაპიტალის ჩარჩოსთან. კერძოდ, საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნებიდან (ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალის და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი მინიმალური მოთხოვნები შესაბამისად 7%, 8.5% და 10.5%-ის ოდენობით) მოხდა კონსერვაციის ბუფერის – 2.5%-ის

---

<sup>4</sup>[www.nbg.gov.ge/index.php?m=399/ვებ-გვერდი/ფინანსური სტაბილურობა>საბანკო ზედამხედველობა](http://www.nbg.gov.ge/index.php?m=399/ვებ-გვერდი/ფინანსური სტაბილურობა>საბანკო ზედამხედველობა)

ცალკე გამოყოფა, რომელიც აქამდე ინტეგრირებული იყო მინიმალურ მოთხოვნებში. შედეგად, განახლებული კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები შეადგენს 4.5%, 6% და 8%-ს ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების შესაბამისად. ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან ერთად, ძირითადი პირველადი კაპიტალის მეშვეობით ბანკებს მოეთხოვებათ კაპიტალის დამატებითი ე.წ. კომბინირებული ბუფერების დაცვა, რომელიც მოიცავს კონსერვაციის, კონტრციკლურობის და სისტემურობის ბუფერს. ამ მიზნით, კონსერვაციის ბუფერის განაკვეთად განისაზღვრა რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციების 2.5%, ხოლო კონტრციკლური ბუფერის განაკვეთად 0%. კონტრციკლური ბუფერი შეიძლება დაწესდეს რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 0%-დან 2.5%-ის შუალედის ფარგლებში. აღნიშნული გადაიხედება პერიოდულად, ფინანსური და მაკროეკონომიკური გარემოს საფუძველზე. სისტემურად მნიშვნელოვანი კომერციული ბანკებისათვის მოხდა სისტემურობის ბუფერის შემოღებაც. კერძოდ, ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა განიხილა სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების იდენტიფიცირებისა და მათთვის კაპიტალის დამატებითი ბუფერის მოთხოვნის მეთოდოლოგია და სებ-ის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცდა ბრძანება “სისტემური მნიშვნელობის ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე”.

## 2.2 სისტემური ბუფერი

სისტემურობის ბუფერის დაწესება წარმოადგენს საერთაშორისო პრაქტიკას და რამდენიმე მიზანს ემსახურება:

- ფინანსური სექტორის მდგრადობის ამაღლება;
- მსხვილი ბანკების გაკოტრების ალბათობის შემცირება და შედეგად წარმოქმნილი სისტემური პრობლემების თავიდან არიდება;
- სისტემურ ბანკებში მორალური საფრთხის (Moral Hazard) შემცირება;

- გადასახადების გადამხდელების პოტენციური ტვირთის შემცირება პრობლემური ბანკების საბიუჯეტო სახსრებით დახმარებისას;
- კონცენტრაციის შემცირება და, შედეგად, კონკურენციის ხელშეწყობა

როგორც აღნიშნეთ, სისტემური ბუფერი დგინდება ინდივიდუალურად და მხედველობაში მიიღება ადგილობრივი ფინანსური სექტორის სპეციფიკური მახასიათებლები. კერძოდ, ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ბანკის აქტივების წილი საბანკო სისტემაში, ურთიერთკავშირი სხვა ბანკებთან, ჩანაცვლებადობა და კომპლექსურობა.<sup>5</sup>

ცხრილი 2.1

კრიტერიუმი	მაჩვენებლები	ხვ. წონა
ზომა 25%	მთლიანი აქტივები	25%
ჩანაცვლებადობა 25%	ადგილობრივი საგადახდო ტრანზაქციები	8.3%
	კერძო სექტორის დეპოზიტები ეკ.-დან	8.3%
	კერძო სექტორის სესხები ეკ.-დან	8.3%
კომპლექსურობა 25%	არასაბირჟო დერივატივების ნომინალი	8.3%
	ქვეყნის გარეთ ვალდებულებები	8.3%
	ქვეყნის გარედან მისაღები თანხები	8.3%
ურთიერთკავშირი 25%	ბანკთაშორისი სისტემის აქტივები	8.3%
	ბანკთაშორისი სისტემის ვალდ.	8.3%
	გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	8.3%

ქართულ საბანკო სექტორში აღნიშნული მაჩვენებლები დაკორექტირებული სახითაა წარმოდგენილი, რადგან არსებობს რიგი სირთულეები. საქართველოში მოქმედ არცერთ

<sup>5</sup>ავტ. ალექსანდრე ერგეშიძე, ნატო კაბულაშვილი-„ეკონომიკა და საბანკო საქმე“. საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველწლიური ჟურნალი ტომი 5 N 1/22-23 გვ

ბანკს არ აქვს გლობალური სისტემური მნიშვნელობა, ამიტომაც შიდა სტანდარტებით ვხელმძღვანელობთ, შესაბამისად კრიტერიუმებიც განსხვავებულია. კერძოდ, ფინანსური სექტორის განვითარების მიმდინარე ეტაპისთვის ქართული ბანკების საქმიანობა ძირითადად სტანდარტული კომერციული საბანკო სერვისების შეთავაზებით შემოიფარგლებოდა დერივატიული ინსტრუმენტები და ქვეყნის გარეთ ოპერაციები უმნიშვნელოა, შესაბამისად, კომპლექსურობის წილი შემცირებულია და მხოლოდ კაპიტალში ინვესტიციებს მოიცავს. ფინანსური ინსტიტუტების ურთიერთკავშირისა და დამოკიდებულების მაჩვენებელიც შერბილებულია, რადგან ბანკთაშორისი ბაზარი და მასზე დამოკიდებულება განვითარებულ ფინანსურ ცენტრებთან შედარებით დაბალია. შედეგად, გაიზარდა ბანკის ზომის წილი, რაც, რეალურად, ყველაზე უკეთ აჩვენებს მის სისტემურ მნიშვნელობას. ასევე, ჩანაცვლებადობაში დაემატა ფილიალების რაოდენობა და აგროსექტორის დაფინანსება, რაც რეგიონებში ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება.

ცხრილი 2.2

კრიტერიუმი	მაჩვენებლები	ხვ. წონა
ზომა 55%	რისკის მთლიანი პოზიცია	20%
	მომხმარებელთა დეპოზიტები	20%
	მთლიანი შემოსავალი	15%
ჩანაცვლებადობა 25%	ფილიალებისრაოდენობა	20.0%
	აგროსექტორისდაფინანსება	5.0%
კომპლექსურობა 5%	ინვესტიციები კაპიტალში	5.0%
ურთიერთკავშირი 25%	ბანკთაშორისი სისტემის აქტივები	5.0%
	ბანკთაშორისი სისტემის ვალდებულებები	5.0%
	საბითუმო დაფინანსება	5.0%

სისტემურობის ბუფერი გამოიხატება პროცენტული პუნქტებით რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებში. სისტემურად მნიშვნელოვანმა ბანკებმა სისტემურობის ბუფერის მოთხოვნა უნდა დაიცვან ეტაპობრივად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 3 ბანკს წარუდგინა სისტემური ბუფერის მოთხოვნა: სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“.

### ცხრილი 2.3

ბანკი	2017წ	2018წ	2019წ	2020წ	2021წ
სს „თიბისი ბანკი“	0.0%	1.0%	1.5%	2.0%	2.5%
სს „საქართველოს ბანკი“	0.0%	1.0%	1.5%	2.0%	2.5%
სს „ლიბერთი ბანკი“	0.0%	0.6%	0.9%	1.2%	1.5%

ცხრილში მოცემული პარამეტრები 2018 წლის 31 დეკემბრიდან ამოქმედდა და პასუხობს ბაზელის კომიტეტის მიერ 2017 წლის რეპორტის მიხედვით წარდგენილ მაჩვენებლებს.

### 2.3 კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი

კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი დანერგილია ბაზელ III-ის ჩარჩოს ფარგლებში და წარმოადგენს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს ეკონომიკის ისეთი ქარბი დაკრედიტება, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. ბუფერის კონტრციკლურობა ხელს უწყობს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად მიზანს, შეამციროს ფინანსური სტაბილურობის სისტემური რისკები. უარყოფითი შოკების დროს კონტრციკლური ბუფერი უნდა დაეხმაროს ფინანსურ სისტემას, რომ მკვეთრად არ შეიზღუდოს ეკონომიკის დაკრედიტება და ამით დამატებით არ გაუარესდეს როგორც ფინანსური სექტორის, ისე მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობა. კონკეტური ბუფერი შეგენილია პილარ-2 ის ფარგლებში და დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პეზიდენტის მიერ



(ბრანება N 176/04 2017 წლის 18 დეკემბერი). წესის თანახმად, პილარ 2-ის ფარგლებში კაპიტალის მოთხოვნები მოიცავს სავალუტო რისკისგან დაუცველი რისკის პოზიციებისთვის კაპიტალის ბუფერის მოთხოვნას, რომელიც ამ დრომდე პილარ 1-ში იყო ინტეგრირებული. აღნიშნული ბუფერი წარმოადგენს მაკროპრუდენციულ ბუფერს, რომლის მიზანია დოლარიზაციით გამოწვეული სისტემური რისკის შემცირება. მოცემული ბუფერის დაწესება კიდევ ერთხელ გამოხატავს ეროვნული ბანკის პოლიტიკას ეტაპობრივად შეამციროს საბანკო სისტემის დოლარიზაცია, რათა უზრუნველყოს ფინანსური სტაბილურობა და ხელი შეუწყოს ეკონომიკის მოქნილობას საგარეო შოკების დროს.

მნიშვნელოვანია, რომ პილარ 2-ის ფარგლებში დაწესებული კაპიტალის ბუფერები კომერციულმა ბანკებმა უნდა დააკმაყოფილონ საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების იმავე პროპორციით, როგორც ეს მოცემულია მინიმალურ მოთხოვნებში (ძირითადი პირველადი კაპიტალი 4.5%, პირველადი კაპიტალი 6% და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი 8%). შესაბამისად, პილარ 2-ის ფარგლებში მოთხოვნილი კაპიტალის 56% დაცული უნდა იყოს ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტებით, ხოლო 75% პირველადი კაპიტალის ელემენტებით. აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით, კომერციულ ბანკებს მიეცემა შესაბამისი ვადები.

კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებული ცვლილებების შედეგად, კომერციული ბანკისათვის დაწესებული ახალი ჯამური კაპიტალის დარღვევისას, ჩაითვლება რომ პირველი ირღვევა კაპიტალის კომბინირებული ბუფერები. “კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ” დებულებაში ცვლილებების თანახმად, აღნიშნული ბუფერების დარღვევისას, კომერციულ ბანკს ეკრძალება კაპიტალის განაწილება, მათ შორის დივიდენდის გაცემა.

ამასთან, პილარ 2-ის ფარგლებში განსაზღვრული კაპიტალის ჯამური მოთხოვნა შეიძლება დროებით, მაქსიმუმ ერთი წლის ვადით, შემცირდეს გაცვლითი კურსის მოულოდნელი გაუფასურების შედეგად, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მექანიკური ზრდით გამოწვეული კაპიტალის მოთხოვნის ოდენობით. კაპიტალის ოდენობა,

რომლითაც მოხდება პილარ 2-ის ფარგლებში მოთხოვნის შემცირება, დაითვლება ბანკის მიერ განსაზღვრული და ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული მეთოდოლოგიით. კომერციულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად კაპიტალის დაანგარიშება. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი კაპიტალის მოთხოვნებს შეამცირებს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული მეთოდოლოგიით დათვლილ მაჩვენებელზე მეტად, ბანკი დაარღვევს კომბინირებული ბუფერის მოთხოვნას და მასზე გავრცელდება დივიდენდის განაწილებისა და სხვა შეზღუდვები.

ამავე დროს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტი სირთულე როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, მოსალოდნელია პილარ 2-ში. ამიტომაც ეროვნული ბანკი მუშაობდა აქტიურად ამ საკითხის მოსაგვარებლად. ამ საკითხის მოგვარებამ ქართული საბანკო სივრცე უნდა გადაიყვანოს სტაბილურობის ახალ დონეზე, რაც გაამარტივებს რისკების პრევენციასა და მართვას. გასათვალისწინებელია საბანკო ზედამხედველობის ახალი სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოწვევები. 2009 წელს, ლონდონის დიდი ოცეულის შეხვედრაზე გერმანია და საფრანგეთი ენერგიულად ასაბუთებდა ახალი მარეგულირებელი სტანდარტების შემოწრების აუცილებლობას. მათ სწამდათ, რომ მათი კუთვნილი ბანკები კაპიტალის მხრივ აშშ-ის ბანკებთან შედარებით კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა, თუმცა ევროკულმა კრიზისმა მდგომარობა სრულიად შეცვალა.

#### 2.4 სხვა მაკროპრუდენციული ინსტრუმენტები

ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციულ ინსტრუმენტებს წარმოადგენს ასევე ბაზელ III-ის ფარგლებში დანერგილი კაპიტალის დამატებითი ბუფერები. აღნიშნული ინსტრუმენტებია: საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის ბუფერი, სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით განსაზღვრული ბუფერი, სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი და რისკების შეფასების საერთო პროგრამის - GRAPE (General Risk Assessment Program) ფარგლებში დაწესებული ბუფერი.

GRAPE რისკებზე დაფუძნებულ ზედამხედველობის უწყვეტი ციკლია, რომლის მიზანია კომერციული ბანკების რისკების შეფასება და შესაბამისი საზედამხედველო ქმედებების განსაზღვრა. მის საფუძველზე ფასდება თითოეული კომერციული ბანკის რისკის პროფილი. კომერციული ბანკების რისკებისა და მათი პოტენციური ზეგავლენის შეფასების შემდეგ განისაზღვრება საზედამხედველო ყურადღებისა და ინტენსივობის დონე, იდენტიფიცირებული რისკების შემცირების საზედამხედველო ღონისძიებები.

პოტენციური ზეგავლენა განსაზღვრავს კომერციული ბანკის პოტენციური ფინანსური სიძნელეებით გამოწვეულ შედეგებსა და მათ შესაძლო ასახვას მთლიანად ფინანსური სექტორის სტაბილურობაზე. რისკების შეფასებისას განისაზღვრება კომერციული ბანკის საერთო რისკის პროფილი და ფასდება რამდენადაა შესაძლებელი მასში ფინანსური სიძნელეების წარმოქმნა. GRAPE-ის ფარგლებში შესაფასებელი რისკის კატეგორიებია: საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი, ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯგუფის სტრუქტურა, კორპორაციული მართვა, საერთო რისკი რესურსებამდე, რესურსები და საერთო რისკი რესურსების შემდეგ.

ცხრილი 2.4 -კომერციული ბანკების რისკების შეფასების მატრიცა<sup>6</sup>

რისკის კატეგორია	ინჰერენტული რისკი	მიტიგანტები			წმინდა რისკი	რისკის წონა
		სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორატი	რისკების მართვა და შიდა კონტროლის მექანიზმები		
საკრედიტო	[1-5]		[1-5]		[1-5]	%
ლიკვიდობის	[1-5]		[1-5]		[1-5]	%
საბაზრო	[1-5]		[1-5]		[1-5]	%
საოპერაციო	[1-5]		[1-5]		[1-5]	%

<sup>6</sup>[https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/grape/grape\\_f.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/grape/grape_f.pdf)

ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა	[1-5]	[1-5]	[1-5]	%
მაკროეკონომიკური გარემო	[1-5]	[1-5]	[1-5]	%
ჯგუფის სტრუქტურა	[1-5]	[1-5]	[1-5]	%
კორპორაციული მართვა	[1-5]			%
საერთო რისკი რესურსებამდე	[1-5]			100%
რესურსები	(პოზიტიური/ნეგატიური გავლენის შეფასება და ქულის კორექტირება)			
საერთო რისკი რესურსების შემდეგ	[1-5]			

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი, ასევე აქტივების საკრედიტო ხარისხის გაურესებით მიღებული დანაკარგები. საკრედიტო რისკი ტრადიციული საბანკო საქმიანობის პირობებში კომერციული ბანკისათვის ზარალის მიღების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ლიკვიდობის რისკი არის ბანკის რისკი გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში მნიშვნელოვანი მოულოდნელი დანაკარგების გარეშე. საბაზრო რისკი არის სხვადასხვა საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეული ზარალის რისკი. კერძოდ, გაცვლითი კურსების, პროცენტების, პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების და ინსტრუმენტების ფასების ცვლილებამ შესაძლოა, მნიშვნელოვანი მოგება ან ზარალი მოუტანოს კომერციულ ბანკს და მთლიან საბანკო სისტემას. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ გაზარდონ საკრედიტო რისკიც. საოპერაციო რისკი არის არაადეკვატური შიდა პროცესების, ადამიანთა ქმედებების, სისტემებისა და გარე ფაქტორების შედეგად გამოწვეული ზარალის რისკი. ბანკის სტრატეგიამ და ბიზნეს მოდელმა შეიძლება, მნიშვნელოვნად გაზარდოს მისი რისკები. ამასთან, მომგებიანობა ბანკების კაპიტალის შიდა ზრდის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული რისკების შეფასება. მაკროეკონომიკური გარემოს შეფასება გულისხმობს სისტემური ხასიათის რისკების

შეფასებას, რომლებიც ზემოქმედებენ ბაზრის ყველა მონაწილეზე და მათგან გადაეცემა რეალური ეკონომიკის სექტორს. სისტემური რისკების სრული განეიტრალება შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მათი ზემოქმედების შემსუბუქება საბანკო სექტორზე და მისი მეშვეობით მთლიანად ეკონომიკაზე. კომერციული ბანკების რისკის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მისი ჯგუფის სტრუქტურა, რადგან აღნიშნულზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბანკის რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ამასთან, ჯგუფის სხვა წევრებთან მჭიდრო ურთიერთკავშირების სხვადასხვა ფორმებს ბანკის რისკიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. შესაბამისად, ჯგუფის სტრუქტურის შეფასება რისკების შეფასების სისტემის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

## 2.5 ჭარბვალთანობა

მაკროპრუდენციული პოლიტიკის გასატარებლად საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს ბაზელი III-ს ჩარჩო-პირობებით სხვა ბუფერებსაც. ამ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება აგრეთვე: სესხის მომსახურებისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტები. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საკრედიტო ბუფერი წარმოადგენს დამოკიდებულებას მთლიან შიდა პროდუქტსა და საკრედიტო პორტფელს შორის. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით დაკრედიტების ზრდით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად უნდა გააქტიურებულიყო კაპიტალის კონტრცკლური ბუფერი. ჭარბვალთანობის თავიდან ასაცილებლად 2019 წლის 1 იანვრიდან შემოვიდა ახალი რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებდა ფიზიკური პირებისათვის სესხების ლიმიტირებული რაოდენობით გაცემას. ეროვნული ბანკი იმედოვნებს, რომ გრძელვადიან პერიოდში ეს გარკვეული შედეგის მომტანია და შემდგომში უფრო ნათლად გამოჩნდება ამ პრობლემის მოგვარების შედეგიც, თუმცა მოკლევადიან პერიოდში მაკროპრუდენციული პოლიტიკის გამყარება არცთუ ისეთი ეფექტიანია, რადგან ეს აისახება ეროვნულ ეკონომიკაზე და გამოიწვევს სოციალურ და ეკონომიკურ ხარჯების ზრდას.

ჭარბვალთანობის პრობლემა ბოლო პერიოდში აქტუალური საკითხი გახდა. მის წინააღმდეგ ბრძოლა ეროვნულმა ბანკმა აქტიურად ბაზელ 3-ის პირობებში დაიწყო.

ჭარბვალთანობა თავისთავად გლობალურ პრობლემას წარმოადგენს, რასაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა ქვეყნების საფინანსო ბაზრის მარეგულირებელი ორგანოების პერიოდული გადაწყვეტილებები მოწმობენ. აღმოსავლეთ ევროპის, ახლო და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ასევე სამხრეთ ამერიკის წარმატებული ეკონომიკების მესვეურებმა რეგულაციების გამკაცრების პრაქტიკას 2010 წლიდან მიმართეს. 2017 წლის აგვისტოდან სებ-მა გადადგა ნაბიჯი და ცვლილებები შეიტანა „კომერციული ბანკების მიერ აქტივებს კლასიფიკაციასა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესში“. დაწესდა გარკვეული შეზღუდვები კომერციული ბანკებისათვის. შემოვიდა ზღვრული მაჩვენებლები, და თუკი რომელიმე კომერციული ბანკი არ შეასრულებდა აღნიშნულ პირობებს, მაშინ მას დამატებითი კაპიტალი უნდა მოეძიებინა. საკრედიტო რისკების შემცირება კომერციულ ბანკებში მოხდა, მაგრამ კვლავ პრობლემის წინაშე იდგა სებ-ი. ფინანსურ სექტორში მრავლად არსებობდა საფინანსო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, დაკრედიტების მაჩვენებელი კვლავაც მაღალი იყო, რადგან სებ-ის რეგულაციები მათზე არ ვრცელდებოდა. ჭარბვალთანობის პრობლემა კვლავ დარჩა. აქედან გამომდინარე საჭირო გახდა არაკომერციული სექტორისათვის რეგულაციების განხორციელება. ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო საქართველოს მთავრობაც, 2018 აპრილის პერიოდში ფინანსთა მინისტრის პოზიციას იკავებდა მამუკა ბახტაძე. იგი აქტიურად შეუერთდა ამ ინიციატივას და მკაცრად დაგმო ის ტენდენცია, რაც სამომხმარებლო სესხის ადვილად აღებასთან იყო დაკავშირებული. გარკვეულ მოდად იქცა ის ნიუანსი, რომ შემოსავლების დამადასტურებელი მოწმობის გარეშე, აიღებდა სესხს მომხმარებელი, რაც რა თქმა უნდა, პირდაპირ იწვევდა საკრედიტო რისკს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ფონზე, ამ შედეგის მიღება გარდაუვალი იქნება. მომხმარებლის ფსიქოლოგიური განწყობა და ფინანსური პრობლემების მოგვარება ახალი ვალის აღებით იწვევს გადაუხდელობის რისკს. საქართველოს სტატისტიკის სამსახური ყოველკვატრლურად გვაწვდის ინფორმაციას, ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ინდიკატორების შესახებ, მაშინ როცა საშუალო ხელფასი იზრდება, ისმება კითხვა, მაშინ როგორ მივედით ამ პრობლემამდე? პასუხი საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს ეკონომიკური განათლების

ქონის მიუხედავად. არაფორმალური ეკონომიკის წილი მშპ-ში საკმაოდ მაღალია. ამ სექტორში დასაქმებული ადამიანები თავს საიმედოდ და დაცულად ვერ გრძნობენ, რომ მომავალშიც ექნებათ შემოსავალი. მარტივად ფულის მიღება კი ყველას სურს. სწორედ ამ კონკრეტულმა პრობლემამ მიგვიყვანა ამ შედეგამდე. ერთი მხრივ, ეს არასამართლიანია საბანკო სექტორისათვის.

ეროვნული ბანკი სამთავრობო უწყებასთან ერთად 2018 წლის 17 აპრილიდან იწყებს ახალ რეგულაციას და შუალედურ დაკვირვებას ახორციელებს. 2014 წლის N49/04 ბრძანებაში მოხდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც:

- ბანკის მიერ გადახდისუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე გაცემული ყველა სესხის საერთო თანხა (გარდა ძვირფასი ქვებითა და ლითონებით ან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების, უზრუნველყოფის ღირებულების ფარგლებში არსებული სესხის თანხისა) არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25 პროცენტს;
- ბანკის მიერ მსესხებელი/თანამსესხებელი პირის გადახდისუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ყველა სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15 პროცენტს. ამასთან, მსესხებელ პირზე, გადახდისუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე, სესხის გაცემისას, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (Loan to Value Ratio) არ უნდა იყოს 50 პროცენტზე მეტი (გარდა რესტრუქტურისაციის შემთხვევისა, როდესაც მსესხებელი პირისათვის არ ხდება სესხის თანხის დამატება. სესხის თანხის დამატებაში არ იგულისხმება დარიცხული პროცენტების, ჯარიმა/საურავების, თუ სხვა თანხების კაპიტალიზაცია).<sup>7</sup>

გარდა ამისა ოქტომბრის თვეში მთავრობის მხრიდან გაჟღერდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა მოქალაქეს, რომელიც ე.წ „შავ სიაში“ იმყოფებოდა, ვალს დაუფარავდა მთავრობა. ამ ფაქტმა გამოიწვია არაერთგვაროვანი შეფასებები, რაც

---

<sup>7</sup> [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual\\_report\\_2018.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_report_2018.pdf)

ერთმნიშვნელოვნად დაკავშირებული იყო პოლიტიკურ ფაქტორთან, რასაც გარკვეულ წილად ვიზიარებ.

რეგულაციათა მთელ სპექტს აქვს როგორ დადებითი, ასევე უარყოფითი მიმართულებებიც. ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის აუცილებელი ნაბიჯი გადაიდგა, აუცილებლად უნდა შეჩერებულიყო საცალო დაკრედიტების უკონტროლო ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა დიდი ნაწილისთვის ეს ცვლილება მტკივნეული აღმოჩნდა, ნელ-ნელა შეიქმნა ის მოლოდინი, რომ მოქალაქეს თავისი შემოსავლიდან გამომდინარე საცალო დაკრედიტების პროდუქტის მიღება შეეზღუდა და არა აეკრძალა. აუცილებელია, რომ გადახდისუნარიანი იყო ყველა, რომელიც იღებს სესხს. ისიც უნდა ავლნიშნო, რომ საპროცენტო განაკვეთები საკმაოდ მაღალია ნებისმიერი ტიპის საკრედიტო პროდუქტზე, თუნდაც ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. ამ მიმართულებით თუ იმუშავებს საბანკო სექტორი, მეტად გაიზრდება მოქალაქეთა მხრიდან ვალის დაბრუნების შესაძლებლობა.

როგორც ავლნიშნე, მაკროპრუდენციული პოლიტიკის გამოყენებე მოკლევადიან პერიოდში იწვევს სოციალურ და ეკონომიკურ დანახარჯებს. ჯერ კიდევ აღნიშნული ნაბიჯების გადადგმამდე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობდა იმის შესახებ, თუ რა ნეგატიურ შედეგებს მივიღებდით. არსებობდა პროგნოზები და ეკონომისტების არაერთგვაროვან შეფასებები. განვიხილავ იმ შედეგს, რომელიც თან სდევს ჭარბვალთანობასთან ბრძოლის პოლიტიკას:

- მევახშეთა ბაზარი

შესაძლებელია საბანკო სექტორიდან გასული ეკონომიკურად აქტიური მოქალაქეების ნაწილმა ფულადი ბაზრის დღემდე ნაკლებად განვითარებული და რეგულაციებს ნაკლებად დაქვემდებარებული ბაზრის ფორმირება გამოიწვიოს, რაც შესაძლოა, არანაკლებ რისკიანი აღმოჩნდეს ქვეყნისთვის, ვიდრე დღეს არსებული საბანკო-საფინანსო ჭარბვალთანობა.

- უძრავი ქონების ბაზარი

იპოთეკური სესხების მიღების შეზღუდვებმა, გაყიდვების მოცულება შეამცირა სამშენებლო სექტორში. ამ ტიპის სესხისათვის დაფარვის მაქსიმალური ვადა 15 წელი განისაზღვრა.




დეველოპერთა ნაწილი აცხადებს, რომ გაყიდვები გაუნახვერდა, ხოლო ის სამშენებლო კომპანიები, რომლებიც მცირე წილით არსებობდნენ ბაზარზე, შეაჩერეს საქმიანობა. მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელის განცხადებით 2019 წლის იანვარში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სამშენებლო კომპანიებში უძრავი ქონების გაყიდვის მონაცემები 50%-ით შემცირდა. იპოთეკურ-დეველეპერულ ბაზარზე გამოქვეყნებული ტრანზაქციების მაჩვენებელთა მიხედვით, იანვრიდან აპრილის ჩათვლით 0,6 %იანი კლება დაფიქსირდა, თუმცა ეს არ არის საგანგაშო მაჩვენებელი, რადგან რეალური ტრანზაქციები სტატისტიკაში რამდენიმე თვის შემდგომ აისახება და საბოლოო დასკვნისათვის საჭიროა შემდგომი პერიოდის დაკვირვებაც. გარდა ამისა, ამ ბაზარზე შეიზღუდა მეორეული შეთავაზების წილიც. კერძოდ, მოქალაქეებს აღარ შეუძლიათ დაიგირავონ ის ქონება, რომელსაც საცხოვრებლად იყენებენ. თუნცა ის მოლოდინი, რომ სამშენებლო ბაზარზე ჭარბი მიწოდების გამო საცხოვრებელი ფართების ფასი შემცირდებოდა, ასე არ აღმოჩნდა. მიუხედავად მოთხოვნის შემცირებისა, მიწოდების შემცირებაც გამოიწვია სამშენებლო რეგულაციების გამკაცრებამაც და შედეგად არსებული კომპანიების გამსხვილება და წვრილი დეველოპერების საქმიანობის პორთფელის ცვლილება მივიღეთ.

- ტექნიკის მაღაზიები

„პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სისტემის“ ამოქმედების შემდგომ ხანგრძლივი გამოყენების ტექნიკის მაღაზიები გაყიდვების შემცირებაზე საუბრობენ. ბაზრის ზოგიერთი მონაწილე გავიდა სექტორიდან, ზოგი კი გაერთიანდა.

რა თქმა უნდა, არსებობდა მოლოდინი, რომ გარკვეული პერიოდი დასჭირდებოდა ბანკებს ახალი რეგულაციებზე მორგებისათვის და ახალი მიმართულებით მუშაობისთვის. ამიტომაც პირველ პერიოდში მოსალოდნელი იყო გარკვეული შენელება. რაც შეეხება სტატისტიკას, ჯამური პორთფელი ამ რეგულაციის შემდგომ, 4 თვის ვადაში გაზრდილია 1.1%-ით. თვითონ პორთფელი სეზონურად განსხვავდება და წინა წლის მაჩვენებელს რომ შევადაროთ 0.7%-ით ჩამორჩება მიმდინარე მაჩვენებელი. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. რეგულაციის მოლოდინში გაიცა დიდი რაოდენობით სესხი, რომელთა გარკვეული ნაწილი 2019 წლის დასაწყისში უნდა გაცემულიყო

მოლოდინისამებრ. წინა წლის მაჩვენებლის მიხედვით გაცემული კრედიტების რაოდენობა არაზუნებრივად მაღალი იყო ზემოთაღნიშნული პირობებიდან გამომდინარე.<sup>8</sup> დიაგრამა 2.1 სესხების სტატისტიკა



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე დიდი ცვლილება ფიზიკური პირების სამომხმარებლო სესხებმა განიცადა. რაც აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო. 2017 წლის მაღალი მაჩვენებელი ლარიზაციის პოლიტიკის შედეგია, როდესაც ბანკს შეეძლო გაცეა სესხთა დიდი ნაწილი.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკითხს, ბრუნვა უფრო მეტად შემცირდა, რადგა ამ რეგულაციის პირდაპირი დანიშნულება იყო, შემცირებულიყო მევახშური ტიპის სესხები, როვა მომხმარებელი იძულებული იყო ეხადა წლიური პროცენტების საკმაოდ მაღალი რაოდენობით. ამ სესხების დიდი წილი ონლაინ პლათფორმით გაციემოდა და ამ მიმართულებით უფრო მეტად საქმიანობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. რადგან რეგულაცია ზუსტად ამ საკითხს შეეხო, შედეგიც მოლოდინს ამართლებს. ვფიქრობ, რომ არასაბანკო სექტორის მუშაობა უნდა გააკონტროლოს ეროვნულმა ბანკმა, რადგან ქართულ რეალობაში ამ სექტორს დიდი როლი უჭირავს.

<sup>8</sup> [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/analytical\\_reports/2019/financial\\_sector\\_review\\_geo.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/analytical_reports/2019/financial_sector_review_geo.pdf)

### თავი 3

საბანკო ზედამხედველობის განვითარება ბაზელ III-ის საფუძველზე  
(უახლოესი პერიოდი)

3.1 ეროვნული ბანკის რეფორმები

2017 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი საზედამხედველო ინიციატივები განახორციელა, რომელიც ფინანსურ სტაბილურობას და საბანკო სისტემის მდგრადობის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაასრულა ბაზელ III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს პილარ II-ის ელემენტების ფორმალიზების პროცესი. ამასთან, ცვლილებები შეეხო ამ დრომდე არსებულ პილარ I-ის ჩარჩოს და შედეგად, კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები შესაბამისობაში მოვიდა და თავსებადი გახდა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ დაწესებულ კაპიტალის ჩარჩოსთან. ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან ერთად, ბანკებს, ძირითადი პირველადი კაპიტალის მეშვეობით, მოეთხოვებათ კაპიტალის დამატებითი ე.წ. კომბინირებული ბუფერების დაცვა, რომელიც მოიცავს კონსერვაციის, კონტრციკლურობის და სისტემურობის ბუფერს. ეროვნული ბანკის მიერ იდენტიფიცირებული სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისთვის განისაზღვრა კაპიტალის სისტემურობის ბუფერის მოცულობა და მასთან შესაბამისობაში მოსვლის ვადები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილებებით, ქართული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის რაოდენობრივი მაჩვენებლები 2017 წლის დეკემბრიდან შედარებადი გახდა ბაზელ III-ზე დაფუძნებულ სხვა იურისდიქციებთან. 2017 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ბაზელ III-ის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), რაც მოკლევადიანი (30 დღემდე) ლიკვიდობის მართვის თანამედროვე და ეფექტურ მიდგომას წარმოადგენს და იძლევა ამ ტიპის რისკების უფრო სრულყოფილი იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის საშუალებას. 2017 წელს დამტკიცდა და ამოქმედდა პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი, რომლის მიხედვითაც, კომერციული ბანკები ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია კაპიტალის ელემენტების, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების, უმაღლესი მენეჯმენტის ანაზღაურებისა და სხვა მატერიალური საკითხების შესახებ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სტრესტესტების სრულყოფის საკითხებში საკითხებში ბაზელის კომიტეტი დადებითად აფასებს სებ-ის მუშაობას და უფრო მეტიც სხვა ქვეყნებისათვის სამაგალითო მიდგომადაც ასახელებს.

### 3.2 საბანკო საზედამხედველო ჩარჩოს განვითარება 2018 წ

2018 წლის პერიოდში ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობდა საზედამხედველო პრინციპების განვითარებაზე. შემოღებული და დამტკიცებულ იქნა ბევრი რეგულაცია, თუმცა ყველა აღსანიშნავი, ჩვენი ქვეყნისთვის შედარებით ახალი პროდუქტი, „ეთიკის პრინციპების და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი კომერციული ბანკებისთვის“ აღმოჩნდა. კოდექსის მიზანი, რომელსაც სებ-ის ყოველწლიურ ანგარიში ვკითხულობთ, არის ამ სექტორში ეთიკის და საბანკო პროფესის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრება, რომელიც ამავდროულად ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან ბანკებისადმი ნდობას და ასევე ინვესტორთა მოზიდვას, მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას საქმიანობის განსახორციელებლად. ჩემი აზრით, ზოგადად სამართლიანობის პრინციპები ხშირად ყოვლის მომცველი და ზოგადი ხასიათებისა. ანალოგიურად აღვიქვამ ეთიკის კოდექსის მუხლების შინაარსაც. ზოგადი ხასიათის სტანდარტებია განხილული, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ბანკისა თუ კომერციული ბანკების მიერ თავად შექმნილი კოდექსებში. 7 გვერდიანი კოდექსი მოიცავს

- ზოგად დებულებებს;
- პრინციპებს;
- პროფესიული ქცევის სტანდარტებს;
- კომერციული ბანის ვალდებულებებს;
- ეთიკის პრინციპების და სტანდარტების დარღვევის ფაქტების გამოძიების, გადაწყვეტილების მიღებისა და გასაჩივრების პროცედურული საკითხები;
- საზედამხედველო ქმედებები და სანქციები.

დოკუმენტით განსაზღვრული პრინციპები და სტანდარტები სერთიფიცირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა (CFA) ინსტიტუტის მიერ განსაზღვრულ ეთიკის პრინციპებსა და პროფესიული ქცევის სტანდარტები ჩარჩოს ეფუძნება.

უნდა აღვნიშნოთ ამ კოდექსის გამორჩეული მხარე. გარდა იმისა, რომ პასუხობს საერთაშორისო მიღებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს, სამეთვალყურო საბჭოში

ითვალისწინებს გენდერულად დაბალანსებულ დაკომპლექტებას. ამ სიახლეს მოჰყვა არაერთგვაროვანი შეფასებები, ზოგი განიხილავდა, რომ ეს გარკვეული დისკრიმინაციული საკითხია და თუ ბანკს არ ყავს კომპეტენტური და სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისათვის შესაბამისი მდებრობითი სქესის კადრი, მან ჩვეულებრივ უნდა გააგრძელოს საქმიანობა. ბევრი მიესალმა ამ სიახლეს და მეც ვთვლი, რომ სასურველია, ბალანსი იყოს დაცული.

რამდენიმე ქვეყნის საბანკო სექტორში შემუშავებულ ეთიკის კოდექსის გახილვა საინტერესო იქნება და მათი შედარება ქართულ დოკუმენტთან.

ირლანდიის ცენტრალური ბანკის მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი

12 გვერდინი დოკუმენტია, რომელიც შედგება 3 პუნქტისა და ქვეპუნქტებისაგან. ისევე როგორც ქართულ დოკუმენტშია, პირველ გვერდს იკავებს წარდგენა, რომელიც შედარებით დიდი მოცულობისა. სებ-ის დოკუმენტში, აღნიშნული ნაწილი ყოველთვის ლაკონურია და მცირე. მეორე ნაწილი იკავებს ეთიკის ზოგად სტანდარტებს, როგორებიცაა:

- სამართლიანი და წინდახედული საქმიანობა;
- საქმის წარმოება ღირსეულად და პატივისცემა სხვის მიმართ;
- ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება;
- კონფიდენციალობის დაცვა და ინფორმაციის არასწორად გადაცემისგან თავის არიდება;
- ბანკის შესაბამისად წარდგენა;
- არასწორი ქმედების რეპორტირება;

მესამე პუნქტი ასახავს თანამშრომელთა პასუხისმგებლობებს. ამ ნაწილში გამოკვეთილია სპეციფიური როლები ამა თუ იმ ფუნქციის შემსრულებელი რგოლებისთვის.

#### 1. ცენტრალური ბანკის კომისია

კოდექსის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებელია ცენტრალური ბანკი, მას შეუძლია შეცვალოს ძირითადი საკითხები, დაამატოს, გაამრავალფეროვნოს ეთიკური კულტურა კომერციულ

<sup>9</sup> <https://www.centralbank.ie/docs/default-source/careers/policies/code-of-ethics-behaviour.pdf?sfvrsn=6>

ბანკებში. ამავდროულად აწარმოოს ყოველწლიური რეპორტი, მოამზადოს და დატვირთოს ფუნქციურად ეთიკის ოფიცერი (Ethics Officer)

## 2. საზედამხედველო საბჭო

გააჩნია ანალოგიური პასუხისმგებლობა, როგორც რიგით თანამშრომელს. საბჭო პასუხისმგებელია გაავრცელოს და წამყვანი პოზიცია დაიკავოს ეთიკის კოდექსის შესრულებაში. ლოკალურ არეში უზრუნველყოს კოდექსის წესების დაცვა და ითანამშრომლოს მჭიდროდ ადამიანური რესურსების განყოფილებასთან.

## 3. საკონსულტაციო ჯგუფი

უწევს მონიტორინგს კოდექსის ლეგიტიმაციას და საბაზისო დეტალებს განიხილავს. ამალღებს თანამშრომელთა ცნობიერებას, ადგილობრივ წესებს უთავსებს მიღებულ დადგენილებას, აწვდის რეპორტინგს შესაბამის ჯგუფებს და სხვ.

## 4. ეთიკის ოფიცერი

საქართველოში მსგავსი პოზიცია ჯერ არ არსებობს და ამიტომაც , ვთვლი საინტერესო იქნება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. ოფიცერი არის სპეციალისტი, რომელიც იძლევა რჩევებს ეთიკური საკითხების განხრით ბანკსა თუ მის თანამშრომელთა შორის. წარმოადგენს ერთგვარ გიდს და პასუხობს ყველა ეთიკურ საკითხს. განსაზღვრავს ქმედების სირთულეს, თანამშრომლობს მჭიდროდ ადამიანურ რესურსების განყოფილებასთან და არგებს ქმედებას სამართლებრივ ასპექტებთან შესაბამისობაში. ირლანდიაში ბანკს შეუძლია ჰყავდეს აღნიშნულ პოზიციაზე კადრი ან ეთიკის ოფიცრის ფუნქციები გადანაწილებულ იქნას დეპარტამენტებზე.

## 5. ადამიანური რესურსების განყოფილება

მენეჯმენტისა და ეთიკის ოფიცრის ურთიერთობის რეგულირებას ახორციელებს, ასევე ასრულებს აღმასრულებლის როლს ცენტრალური ბანკის დისწიპლინარული საკითხების შესრულებაში და ზემოთ აღნიშნულ რგოლებს შორის პატივისცემას უჭერს მხარს.

საფრანგეთის ცენტრალური ბანკის (ევროსისტემა) ეთიკის კოდექსი<sup>10</sup>

9 გვერდიანი მცირე რეგლამენტია, რომელიც 11 მუხლისგან შედგება, პირველი ნაწილი ეთიკის მოქმედების არეალის განსაზღვრას, რომლებიც მოიცავს ბანკის ყველა თანამშრომელს, მათ შორის აღმასრულებელი, საზედამხედველო საბჭოს წევრებს, ასევე რაც საინტერესოა, სტაჟიორებს, რომლებსაც ეძლევათ საშუალება ჩაერთონ თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში. მეორე თავი ეხება ვალდებულებათა ნაწილს, რომელიც ანალოგიურია როგორც წინა ქვეყნის, ასევე საქართველოს ეთიკის კოდექსის შესაბამისი მუხლისა. მაგრამ არსებობს განსხვავებაც. საფრანგეთის საბანკო კოდექსის მიხედვით მესამე ნაწილი ეთიკის გარკვეული სახის ბენეფიტებს იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც გამოიჩინენ ინიციატივას და თავიანთი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ღირსეულად შეასრულებენ მოვალეობებს.

მუხლი მე-5 ასახავს სტანდარტულ საკითხს, ინტრესთა კონფლიქტს და წარმოდგენს ერთგვარ ნავიგატორს ეთიკურ ქცევის მიმართულებით. მეექვსე ნაწილი ეთიკის დამატებით აქტივობებს და შეუსაბამო სიტუაციების წარდგენას. შემდგომ მოდის პროფესიული საიდუმლოების დაცვა, საჯაროდ ინფორმაციის გავრცელების უკანონობა და ინსაიდერული ვაჭრობის აკრძალვა. მუხლი 10 უკავშირდება ეთიკის ოფიცერს, ეთიკის წესების გავრცელებას. ამ ნაწილში ოფიცერის უშუალო არსებობაზე არა გამახვილებული ყურადღება, თუმცა როგორც ირლანდიურ ვერსიაშია, აქაც განხილულია მისი აუცილებელი თვისებები და ფუნქციები. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ექვემდებარება და პასუხს აგებს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის უფროსთან. აქვს ასევე ვალდებულება წარადგინოს მოთხოვნისამებრ შესაბამისი რეპორტი და ანგარიში ევროპის ცენტრალურ ბანკში. და ბოლოს წარდგენილია სანქციები კოდექსის მუხლების დარღვევისათვის.

კანადის ცენტრალური ბანკის (The Bank of Canada) მიერ შემუშავებული ეთიკისა და საქმიანობის განხორციელების კოდექსი (Code of Business Conduct and Ethics)

<sup>10</sup> [tps://www.banque-france.fr/sites/default/files/media/2017/06/19/bdf\\_ethics\\_code\\_2016.pdf](https://www.banque-france.fr/sites/default/files/media/2017/06/19/bdf_ethics_code_2016.pdf)



შედარებით დიდი მოცულობის, 36 გვერდიანი რეგლამენტი, რომელიც შედგება 8 ნაწილისაგან და მოიცავს არამხოლოდ ევროპულ ნაწილს, არამედ დამატებით საკითხებსაც, რაც მორგებულია კანადურ საბანკო და სამართლებრივ სფეროებზე.

1. ნაწილი პირველი ვრცელ წარდგენას მოიცავს, სადაც ასახულია საბანკო ღირებულებები, ეთიკის კოდექსის მნიშვნელობა, მისი გამოყენება, სამართლებრივი ნორმების დაცვა, მისი გავრცელება და ა.შ.
2. მეორე ნაწილი შედგება სამუშაო გარემოს აღწერაში. კონკრეტულად ამ ნაწილის პირველი ქვეპუნქტი ასახავს ნორმალურ დამაკმაყოფილებელ სამუშაო გარემოს თანამშრომლებისათვის და როგორც ჩვენს კონსტიტუციაშია მითითებული განურჩევლად სქესისა, ფერისა, რელიგიისა, ასაკის და წარმომავლობისა, დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია.
3. ვალდებულებათა ნაწილი, რომელიც სტანდარტული სახისა და ანალოგიური პასუხისმგებლობების მინიჭებას გულისხმობს, ისევე როგორც ევროპულ მაგალითებში გვხვდება. გარდა ამისა კანონქვემდებარე აქტებითაა გაჯერებული: კორპორაციული დაცვის პოლიტიკა, ოპერაციული სტანდარტი, ინფორმაციის დაცვა და ბანკის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოყენების პოლიტიკა.
4. ინტერესთა კონფლიქტი. მისი ზოგადი ნაწილი ანალოგიურია ევროპულ მოდელთან და უფრო მეტად არის ორიენტირებულ თანამშრომელთა ბენეფიტებზე. ფრანგული კოდექსისგან განსხვავებით, ფართოდ არის წარმოდგენილი დასაქმებულთა წამახალისებელი აქტივობები.
5. მეხეტე ნაწილი სრულად განსხვავდება . მასში აღწერილია პერსონალური ფინანსური ოპერაციების რეგულირება.
6. ინფორმაციული მენეჯმენტი. აღნიშნული ნაწილი მოიცავს პერსონალური ინფორმაციის გავრცელების აკრძალვას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, ინსაიდერული მონაცემების შენახვას და ა.შ.<sup>11</sup>

<sup>11</sup> <https://www.bankofcanada.ca/wp-content/uploads/2018/07/code-business-conduct-ethics.pdf>

ბოლო ნაწილები ძირითადად მორგებულია თანამშრომელთა დაცვასა და სამუშაო გარემო პირობების გაუმჯობესებაზე.

საბოლოო ჯამში, ამ ქვეყნების მაგალითის ფონზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითოეული მათგანი მორგებულია სამართლებრივ და საბანკო სფეროებზე. რა თქმა უნდა, ერთმანეთისგან განსხვავდება ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები. მაგრამ ირლანდიისა და საფრანგეთის მაგალითზე ვხედავთ, რომ მსგავსება შედარებით უფრო მეტია. ქართული საბანკო ეთიკის კოდექსიც დაფუძნებულია გერმანულ ვერსიაზე და დაახლოებით ანალოგიური შინაარსის მატარებელია. რაც შეეხება კანადას როგორც მსგავსება, ასევე უდიდესი განსხვავებაცაა, საზოგადოების სოციალური დაყოფის გამო. ძალიან კარგი იქნება, თუ საქართველოშიც დამკვიდრდება ეთიკის ოფიცრის პოზიციაც კომერციულ ბანკებში. თუმცა ეს სამომავლო პერსპექტივად შეგვიძლია განვიხილოთ. ჯერ ახლად გადადგმულია ნაბიჯები და წინ იქნება დრო საიმისოდ, რომ უფრო მეტად დაიხვეწოს და განვითარდეს ეს მიმართულება.

გარდა ამისა აუცილებელია, განვიხილოთ ყველა ის მაჩვენებელი, რომელიც საერთაშორისო ზედამხედველობის მექანიზმით შემოთავებულია და განხორციელებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

### 3.3 კაპიტალის ადეკვატურობა

2017 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ბაზელ III-ის კაპიტალის სტანდარტებთან დაახლოებაზე, რომლის ფარგლებშიც ცვლილებები შევიდა კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებში. 2017 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განაახლა „კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 23 მაისის N144 ბრძანება. განახლებული დოკუმენტის თანახმად, საბანკო ლიცენზიის მიღებით დაინტერესებული იურიდიული პირისა და ლიცენზირებული კომერციული ბანკების მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნა 50 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრება. ამასთან, უკვე

ლიცენზირებული კომერციული ბანკებისათვის აღნიშნული მოთხოვნის შესრულების ვადა სამ ფაზად დაიყო, კერძოდ, აღნიშნული კომერციული ბანკების მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30 მილიონ ლარს, 2018 წლის 30 ივნისისათვის - არანაკლებ 40 მილიონ ლარს და - 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არანაკლებ 50 მილიონ ლარს. აღნიშნული ცვლილების მთავარი მიზანი არის ირს, რომ გაიზარდოს დაბალი კაპიტალიზაციის მქონე ბანკებისათვის ფინანსურისტაბილურობა. ეროვნული ბანკის ეს რეგულაცია მთლიანობაში ფინანსური სისტემის მდგრადობის გაუმჯობესებას ეუწყობს ხელს, თუმცა მეორე მხრივ, ისიც გასათვალისწინებელია თუ რა გავლენას იქონიებს სამომხმარებლო ბაზარზე, რადგან ბანკებს მოუწევთ გაუნაწილებელი მოგებიდან მეტი თანხების გადატანა საზედამხედველო კაპიტალში, რაც მათ გაუნაწილებელ მოგებას შეამცირებს. ექსპერტების შეფასებები ამ ფაქტთან მიმართებით განსხვავდება, ზოგი მათგანი ფიქრობს, რომ ეს გავლენას იქონიებს საბანკო მომხმარებლებზე, რადგან მოსალოდნელია სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა, ზოგი კი-დადებითად აფასებს მიმდინარე სიტუაციას და თვლის, რომ დიდ გავლენას არ მოახდენს ბაზარზე.

შემადგენლობასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები და მისი დანერგვის ვადები (% შესაბამისი წლის 1 იანვრისათვის)

ცხრილი 3.1

შემადგენლობა	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
I დონის კაპიტალი/RWA	3.5	4.0	4.5	4.5	4.5	4.5	4.5
ბუფერული კაპიტალი	-	-	0.625	1.25	1.875	2.5	2.3
სააქციო კაპიტალს+ბუფერი	3.5	4.0	4.5	5.125	5.75	6.375	7.6

კონტრციკლური კაპიტალი	-	-	-	0.625	1.25	1.875	2.5
კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი	8.0	8.0	8.0	8.0	8.0	8.0	8.0
კაპიტალის საკმარისობა+ბუფერი	8.0	8.0	8.0	8.625	9.25	9.875	10.5

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ბაზელ I-ის ჩარჩოს ფარგლებში განსაზღვრული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება კომერციული ბანკებისათვის თავდაპირველი მოთხოვნების 80 პროცენტით იყო სავალდებულო და, შესაბამისად, კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები 6.4 და 9.6 პროცენტს შეადგენდა. 2018 წლის იანვრიდან ბაზელ I-ზე დაფუძნებული პირველადი კაპიტალისა და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები გაუქმდა და სრულად ჩანაცვლდა ბაზელ III-ზე დაფუძნებული მოთხოვნებით.

ეროვნული ბანკის ყოველწლიურ აგარიშში მოცემული მონაცემების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებლები პილარ 1-სა და პილარ 3-ის მიხედვით შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს. ჯერ კიდევ პილარ 1-ის ჩარჩოში პირველადი კაპიტალი და საზედამხედველო კაპიტალი აღემატებოდა მის მინიმალურ ზღვარს, აგრეთვე პილარ 3-ზე გადასვლის შემდეგ სებ-ის მონაცემების მიხედვით მაჩვენებლები არ შეცვლილა ძირეულად და ისევ სრულდება მინიმალური მოთხოვნები. 2017 წელს პირველადი კაპიტალის მაჩვენებელმა შეადგინა 12.8%, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ იზრდება კაპიტალის რესურსები. შესაბამისად ეს დადებითად იმოქმედებს აქციონერთა სიძლიერესა დამომგებიანობაზე.

საინტერესოა, როგორ ასრულებს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები პილარ 3-ის პირობებში დადგენილ ანგარიშების ფორმებს. 2017 წელს ბანკების უმრავლესობას წარმოდგენილი ჰქონდა აღნიშნული დოკუმენტები. მაგალითად სს“პაშა

ბანკი საქართველო“ შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგენ 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კაპიტალის ადეკვატურობისა და პირველადი კაპიტალის კოეფიციენტს, შესაბამისად 62.23% და 71.04 %.

საქართველოს კომერციული ბანკების მიერ მომზადებული წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება 2016 წ.


ცხრილი 3.2

კოეფიციენტები/ბანკები	კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტი	პირველი რიგის კაპიტალის კოეფიციენტი
სს „საქართველოს ბანკი“	13.5%	14.4%	9.1%
სს „თიბისი ბანკი“	14.1%	-	10.9%
სს „ლიბერთი ბანკი“	23.4%	-	12.1%

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, სამივე ბანკს აქვს შესრულებული სების მიერ განსაზღვრული მაჩვენებლები.

2007-2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა, როგორც წინაზე ავღნიშნეთ წარმოშვა საკითხი კაპიტალის გაზრდილ მოთხოვნაზე. ძირითადი ყურადღება დაეთმო კაპიტალის გაზრდილ მოთხოვნასთან დაკავშირებული დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზს, რომლის მიხედვითაც მაღალი კაპიტალიზაციის მთავარი სარგებელი საბანკო კრიზისის ალბათობის შემცირებაა, ხოლო დანახარჯები გაზრდილ საშუამავლო ფასებთან არის დაკავშირებული. ევროპის საბანკო სექტორის პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის ცვლილება 2011 წლის იანვრიდანაა წარმოდგენილი european Banking Authority-ს მიერ და წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2017 წლის დეკემბრის მონაცემით 60% ით გაიზარდა ევროპის საბანკო სექტორის აღნიშნული მაჩვენებელი.

დიაგრამა 3.1 (მონაცემები წარმოდგენილია %ის სახით)



როგორც დიაგრამაზე ჩანს კაპიტალის თითოეული ნაწილის ზრდაც ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება და პასუხობს ბაზელ III-ის მოთხოვნებს. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს განვითარების სურათი პასუხობს ევროპისა და ზოგადად მთელი მსოფლიოს 106 უმსხვილესი ბანკის მონაცემებით მიღებულ შედეგებს. საინტერესოა ასევე განვიხილოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ბანკების მიერ მიღებული კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლები. მაგალითად დიდ ბრიტანეთში ჩატარდა უამრავი კვლევა, თუ რა უნდა ყოფილიყო ოპტიმალური მაჩვენებელი. ბაზელის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული მეთოდოლოგიის საფუძველზე ექსპერტთა ნაწილმა აქცენტირება გააკეთეს საბანკო კრიზისის დაზღვევაზე და კაპიტალის ოპტიმალურ მაჩვენებლის 10-15 პროცენტი დაასახელეს, მაშინ როდესაც სხვები მიიჩნევდნენ, რომ გრძელვადიან პერიოდში წმინდა სარგებელს გაზრდის კაპიტალის ადეკვატურობა, თუ იგი 22%-ს მიუახლოვდება.

საინტერესოა თუ რა შედეგები აქვთ სხვადასხვა ქვეყნის შემთხვევაში ბანკებს კაპიტალის მოთხოვნების შესრულებასთან მიმართებით. ბაზელის კომიტეტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ყოველწლიურად ახორციელებს მონიტორინგს. ბაზელი III დანერგვიდან პერიოდულობით აქვეყნებს შედეგების შესახებ ანგარიშს. 2018 წლის

ოქტომბრის თვეში გამოსცა ანგარიში სახელწოდებით „Basel III Monitoring Report“, სადაც წარმოადგინა 2017 წლის შედეგები კაპიტალის ადეკვატურობის და მოთხოვნის შესახებ.<sup>12</sup>

### ცხრილი 3.3

CET1 კაპიტალის ადეკვატურობის განაკვეთი პროცენტებში	ბაზელი III-ს თავდაპირველი სტანდარტები			ბაზელი III-ს საბოლოო სტანდარტები		
	ბანკების რაოდენობა	მიმდინარე (%)	საბოლოო (%)	ბანკების რაოდენობა	მიმდინარე (%)	საბოლოო (%)
I ჯგუფის ბანკები	99	13	12.9	86	12.6	12.2
ევროპა	35	14.2	13.7	31	11.6	11
ამერიკა	20	12.3	12.2	15	12.3	12.2
RW-ს ბანკები	44	12.6	12.9	40	13.5	13.2
G-SIBs	30	12.8	12.6	26	12.4	12
II ჯგუფის ბანკები	81	16.3	16	60	13	12.6

ამ ცხრილში დაყოფილია ბანკები 2 კატეგორიად-ბანკი 1-ესაა ის საფინანსო დაწესებულება, რომლის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი შეადგენს 3 მილიარს ევროს და საერთაშორისო ასპარეზზე საკმაოდ აქტიურია. დანარჩენი ბანკები კი შედიან მე-2 კატეგორიაში. CET1 კაპიტალი არის ტიერ 1-ის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გულისხმობს კაპიტალის იმ მინიმალურ რაოდენობას, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის ფუნქციონირებას ფინანსური კრიზისების დროს. G-SIB ეს არის იმ ბანკების ერთიანობა, რომელთა სახელწოდებაა მსოფლიოს სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკები (global systemically important banks).

ბაზელის თავდაპირველი სტანდარტები

<sup>12</sup> <https://www.bis.org/bcbs/publ/d449.pdf>

როგორც ცხრილის პირველ ნაწილში ჩანს, პირველი ჯგუფის ბანკები მოიცავს როგორც ევროპა-ამერიკის, ასევე დანარჩენი მროფლიოს და ასევე global systemically important banks ერთობლიობას, თითოეული მათგანის შემთხვევაში განსხვავებული მინიმალური კაპიტალის კოეფიციენტია მითითებული. მეორე ზოლში წარმოდგენილი შედეგი ასახავს ბაზელი III სტანდარტის იმპლემენტაციას. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების შემთხვევაში პირველადი კაპიტალის მაჩვენებელმა დაიკლო 13%-დან 12,9%-მდე და 14.2%-დან 13.7%-მდე. აქაც ნათლად ჩანს, თუ რა განსხვავებაა ამერიკულ და ევროპულ საბანკო სტანდარტებს შორის. G-SIB შემთხვევაშიც და მეორე ჯგუფის შემთხვევაშიც ანალოგიურ შედეგს ვიღებთ.

ბაზელის საბოლოო სტანდარტები

ცხრილის მეორე ნაწილი აღნიშნავს ბაზელის საბოლოო სტანდარტების იმპლემენტაციის შედეგს. თავდაპირველი შედეგიდან საბოლოო შედეგამდე გადასვლა ბანკების რაოდენობის ცვლილებაც გამოიწვია. პირველი ჯგუფის ბანკების კოეფიციენტი შემცირდა 0.7 %-ით, 12.9%-დან 12.2%-მდე. ანალოგიურ ცვლილებას განიცდის ყველა ჯგუფის ბანკი. G-BIS ჯგუფმაც ანალოგიურად 0.6%-იანი ცვლილება განიცადა. თუმცა ყველა დიდი სხვაობა მეორე ჯგუფის ბანკებმა ნახეს.

### 3.4 ლიკვიდობის სტანდარტები

როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველწლიურ ანგარიშში ვკითხულობთ, 2017 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ბაზელ III-ის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) მინიმალური მოთხოვნები, რაც მოკლევადიანი (30 დღემდე) ლიკვიდობის მართვის თანამედროვე და ეფექტურ მიდგომას წარმოადგენს და ამ ტიპის რისკების უფრო სრულყოფილი იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგისა და 89 კონტროლის საშუალებას იძლევა. საერთო მოსაზრებით 2008 წლის ფინანსური კრიზისი არა მარტო კაპიტალის უკმარისობაში მდგომარეობდა, არამედ კითხვის ნიშნები გაჩნდა ასევე ლიკვიდობასთან დაკავშირებით. ამიტომაც ბაზელმა შემოგვთავაზა ორი ახალი კოეფიციენტი LCR და NSFR.



ლიკვიდობის რისკის შიდა მართვის და კონტროლის გარდა, საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოში მოქმედი ყველა ბანკისგან მოითხოვს ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალური მაჩვენებლებისა და LCR-ის სტანდარტების დაცვას. ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალური მაჩვენებელი წარმოადგენს ბანკის არსებული ლიკვიდობის პოზიციის სტატისტიკურად წარმოდგენას და გაანგარიშდება ლიკვიდური აქტივების ვალდებულებებზე გაყოფით საქართველოს ეროვნული ბანკის მეთოდოლოგიის შესაბამისად. აუცილებელია ყოველდღიური კოეფიციენტის გამოთვლა, თუმცა ბანკი ვალდებულია დაიცვას 30%-იანი მინიმალური ლიმიტი ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებლებთან მიმართებაში. ბანკის ლიკვიდობის რისკისადმი აპეტიტი ითვალისწინებს მუდმივად 10%-იანი ბუფერის შენარჩუნებას ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალური მაჩვენებლისთვის. კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ოდენობა, შეფარდებული მთლიან წმინდა ფულად გადინებებთან. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნაა, რომ ყველა ბანკმა ყოველდღიურად დაიცვას მინიმალური მთლიანი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი 100%-ის ოდენობით, ლარის LCR 75%, ხოლო უცხოური ვალუტის LCR 100%. ბანკის დასაშვები რისკის დონე უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის ჯამურ და უცხოური ვალუტის LCR-ს მინიმალურ მოთხოვნებს, ხოლო ლარის LCR-თან მიმართებაში, ნებისმიერ დროს უნდა შეინარჩუნოს 30%-იანი ბუფერი.

30 დღიანი LCR კოეფიციენტი საერთაშორისო ბანკებს საშუალებას აძლევს დარწმუნდნენ, რომ მათ აქვთ საკმარისი მაღალხარისხიანი მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივები, რომლებიც გაუძლებს სტრესტერტირებას მომდევნო 30 დღისათვის. ეს კოეფიციენტი აიძულებს ბანკებს იქონიონ მაღალლიკვიდური, მაგრამ დაბალშემოსავლიანი აქტივების დიდი მარაგი შემდეგი პროპორციულობით: (ვ.ჭარაია, 2015წ)

#### მაღალლიკვიდური აქტივები

$$100\% \leq \frac{\text{მაღალლიკვიდური აქტივები}}{\text{მთლიანი თანხის გადინება მომდევნო 30}}$$

მთლიანი თანხის გადინება მომდევნო 30

### კალენდარული დღის განმავლობაში

ლიკვიდური საშუალებები მოიცავს მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივებს, როგორც არის ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები, ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები, ასევე ეროვნული ბანკის მონეტარულ ოპერაციებში გირავნობის საგნის სახით გამოყენებადი აქტივები (ხელმისაწვდომი რეპო ლიმიტები). ხელმისაწვდომი ლიკვიდური საშუალებები მოიცავს აქტივებს, რომელთა გამოყენება კრიზისის შემთხვევაში ლიკვიდობის გადინებების გადასაფარად თავისუფლად შესაძლებელია, უფრო კონკრეტულად ის გამოითვლება შემდეგნაირად: ლიკვიდურ საშუალებებს გამოკლებული სავალდებულო რეზერვის მოთხოვნა ეროვნულ ბანკში, საჭირო თანხები ყოველდღიური ოპერაციებისთვის, ბანკთაშორისი დეპოზიტები და სოლო ანგარიშები. შედეგად, ვიღებთ ხელმისაწვდომ ლიკვიდურ საშუალებებს, რომლებიც შესაძლოა დაუყოვნებლივ იქნას გამოყენებული, როგორც ლიკვიდობის წყარო მოკლევადიან სტრესულ პერიოდში, ბანკის ყოველდღიური ოპერაციების შეუფერხებლად.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ LCR არ მოიცავს ლიკვიდობის რისკის რეგულირების ისეთ განუყოფელ ნაწილებს, როგორებიცაა, მაგალითად, ვალდებულებების გადახდების კონცენტრაცია, რეალურად მოქმედი დაფინანსების საგანგებო გეგმა და სხვა, რასაც ყურადღება ეთმობა ლიკვიდობის რისკის შეფასებებისას. ამასთან, გრძელვადიანი ლიკვიდობის რეგულირების გასაუმჯობესებლად, დაიწყო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) შემუშავების და დანერგვის პროცესი. NSFR კოეფიციენტი გამიზნულია ბანკების წასახალისებლად, საკუთარი საშუალო და გრძელვადიანი ოპერაციების სტაბილური დაფინანსების მოსაზიდად, აგრეთვე მოკლევადიან დაფინანსებაზე დამოკიდებულების შესამცირებლად. ის გამოითვლება შემდეგნაირად:

ფინანსირებისათვის ხელმისაწვდომი თანხა

$$100\% \leq \frac{\text{ფინანსირებისათვის ხელმისაწვდომი თანხა}}{\text{ფინანსებისათვის საჭირო თანხა}}$$

ფინანსებისათვის საჭირო თანხა

ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ NSFR კოეფიციენტის გათვლისას შეწონილი ფაქტორი შეადგენს: 0% და 5% ნაღდი ფულისა და სახელმწიფო ობლიგაციებისათვის, 65% იპოთეკური სესხებისათვის, 85% საცალო კრედიტებისათვის და 100 % სხვა სახის აქტივებისათვის.

2016 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ როდესაც სებ-მა დაანონსა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი კომერციულ ბანკებს ჩაუტარდათ კონსულტაციები და შეფასდა წინასწარ ის ბაზა, დააკმაყოფილებდნენ თუ არა იმ მაჩვენებლებს, რომელიც ბაზელ III რეკომენდაციითაა განპირობებული. ყველა ის ბანკი, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე გასული, რომელთა აქციებიც გატანილია სავაჭროდ საფონდო ბირჟებზე, უნდა აკმაყოფილებდეს კომიტეტის დამტკიცებულ ნორმებს, იმისათვის რომ მოიპოვოს ნდობა აქციონერისა და ინვესტორის. შესაბამისად აღნიშნული რეგულაციები მიმართულია, რომ გაიზარდოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და ბანკების ლიკვიდურობა, რაც დადებითად აისახება მდგრადობაზე. ყოველივე ცვლილება ნებისმიერ შემთხვევაში მოქმედებს საბანკო სექტორის მომხმარებელსა და მოქალაქეებზე. ეს ცვლილებები აისახება საპროცენტო განაკვეთებზე. ბაზელ III გადასვლა „აიძულებს“ ბანკებს გაზარდოს კაპიტალი, რაც მეტად ამცირებს რისკ-ფაქტორებს. რისკი კი საპროცენტო განაკვეთის ერთ-ერთი მდგენელია. თუ კომერციული ბანკი მიაღწევს რისკების შემცირებას მენეჯმენტის განვითარების კვალდაკვალ იგი შეამცირებს, რა თქმა უნდა, განაკვეთებს, თუმცა დღევანდელ ბაზარზე საპროცენტო მაჩვენებლებს კლების ტენდენცია არ გააჩნია. საინტერესოა ასევე ის ფაქტიც, რომ დღევანდელ ფინანსურ ბაზარზე სებ ამტკიცებს ლიკვიდურობის პრობლემების არსებობას, არასაბანკო სექტორში კი გასცემენ სესხებს უკონტროლოდ. ჩნდება კითხვა თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ჭარბი რესურსით გამოდის ბაზარზე, რატომაა ლიკვიდობის პრობლემა? საკითხი ეხება ორ მიმართულებას: ლიკვიდობის მართვა და ლიკვიდობის პრობლემა. სწორი არაა ის დებულება, რომ რეფინანსების სესხების რაოდენობის ზრდა იწვევს ლიკვიდობის პრობლემას. ზოგადად სესხების მოცულობის ზრდა წინასწარ იყო მოსალოდნელი, რადგანაც შემუშავდა ლარიზაციის სტრატეგია. გაიცემოდა ისეთი სესხები, რომელთა საერთო მოცულობა 100,000

ლარს შეადგენს, რაც ბუნებრივიცაა რესურსების გასვლას გულისხმობს. ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც ეროვნული ბანკი ფინანსურ რესურსს აწვდის ბანკებს, არის რეფინანსების სესხები.


2019 წლის მარტში ბაზელის კომიტეტმა გამოაქვეყნა ანგარიში შედეგების მონიტორინგის შესახებ სადაც ჯამური სახით აქვს წარმოდგენილი ლიკვიდობის სტანდარტების შესახებ ინფორმაცია.<sup>13</sup> ანგარიშში 171 ბანკის შედეგები წარადგინეს. აქედან 98 მათგანი პირველი ჯგუფის ბანკი, ხოლო 73 მეორე ჯგუფის ბანკია. რეპორტინგის პერიოდში ბანკების აქციათა ჯამურმა რაოდენობამ 69.7 ტრილიონი ევრო შეადგინა. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ LRC საშუალო კოეფიციენტი პირველი ჯგუფის ბანკებისთვის 2.1 პროცენტით გაიზარდა წინა პერიოდის მსგავსი მაჩვენებლისაგან და შეადგინა 135.1%. მეორე ჯგუფის ბანკებისათვის აღნიშნული კოეფიციენტი გაიზარდა 0.2 პროცენტით და შეადგინა 180.2%.

წმინდა დაფინანსების სტაბილური კოეფიციენტი-ლიკვიდობის სტანდარტის მაჩვენებელია, რომლის შესახებ ბაზელი ახორციელებს მონიტორინგს. ამავ ანგარიშში წარმოდგენილია 187 ბანკის მონაცემი (104 პირველი ჯგუფის, 83 მეორე ჯგუფის ბანკები). NSFR 2018 წლის ივნისის მონაცემებით პირველი ჯგუფის ბანკებისათვის არის 116%, ხოლო მეორე ჯგუფისთვის 119.2%. აღნიშნული მაჩვენებელი შედარებულია 2017 წლის დეკემბრის მონაცემებთან, სადაც წმინდა დაფინანსების სტაბილური კოეფიციენტი შეადგენს BANK 1 ჯგუფისთვის 116%-ს და BANK 2-სთვის 118.5%-ს.

ბაზელის კომიტეტი აქვეყნებს ურთიერთშედარებისთვის სხვადასხვა რეგიონის შედეგებსაც. ლიკვიდობის სტანდარტები (LCR და NSFR)-ს შედეგები ევროპისა და ამერიკის, ასევე დანარჩენი მსოფლიოს ბანკებისა განსხვავდება. თვალსაჩინოებისათვის მოცემულია ამ ანგარიშში ასახული დიაგრამა.

დიაგრამა 3.2 პირველი ჯგუფის ბანკების ლიკვიდობის მაჩვენებლები

<sup>13</sup> <https://www.bis.org/bcbs/publ/d461.pdf>



### 3.5 ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა

ფინანსური სექტორის გამჭვირვალობა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. გამჭვირვალობის მაღალი დონე ხელს უწყობს ინფორმაციის ასიმეტრიულობის შემცირებას, საფინანსო სექტორის მიმართ ნდობის ამაღლებას და მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს შესაბამისი რეფორმების გატარებას. საფინანსო სექტორის გამჭვირვალობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომერციული ბანკებისა და საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგების ხარისხი. აღნიშნული ანგარიშგებები მზადდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც პერიოდულ განახლებებს ექვემდებარება. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ახალ სტანდარტს ფასს 9, რომელიც სავალდებულოდ ამოქმედდა 2018 წლის 1-ლი იანვრიდან. აღნიშნული სტანდარტის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (Expected Credit Loss) მოდელი, რაც მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აღიარებას გულისხმობს. ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების გარდა, კომერციული ბანკები, „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის“ შესაბამისად, აქვეყნებენ პილარ 3-ის ანგარიშგებებს. კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის

მოთხოვნების ფარგლებში გამჟღავნებული კვარტალური ანგარიშგებები მოიცავს რაოდენობრივ ინფორმაციას ბანკის ძირითადი კოეფიციენტების, საბალანსო და მომგებიანობის მაჩვენებლებისა და მფლობელობის შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციას მეტწილად მოიცავდა „კომერციული ბანკების გამჭვირვალობის წესით“ განსაზღვრული მოთხოვნები. დამატებით, კვარტალური გამჟღავნების ფორმები მოიცავს ინფორმაციას ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების, რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების, საკრედიტო რისკის, საკრედიტო რისკის მიტიგაციის და ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის შესახებ.

პილარ 3<sup>14</sup>ის კვალტრული ანგარიშების ფორმა 15 ნაწილისგან შედგება და შემდეგი სახისაა:

1. ძირითადი მაჩვენებლები;
2. საბალანსო უწყისი;
3. მოგება/ზარალის უწყისი;
4. ბალანსგარეშე ანგარიშების უწყისი;
5. რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები;
6. ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერის შესახებ;
7. აქტივებისა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული საბალანსო ელემენტებს შორის კავშირი;
8. საბალანსო ელემენტების ღირებულებისა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ რისკის პოზიციებს შორის განსხვავება;
9. საზედამხედველო კაპიტალი;
10. საბალანსო და საზედამხედველო კაპიტალის ელემენტებს შორის კავშირები;
11. საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები;
12. საკრედიტო რისკის მიტიგაცია;
13. სტანდარტული მიდგომა-საკრედიტო რისკის მიტიგაციის ეფექტი;

---

<sup>14</sup>საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N 92/04 ბრძანება

14. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები;
15. კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები.

თუ განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების ძველ და ახალ ფორმებს, ვნახავთ, რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან. საბალანსო უწყისი და მოგება-ზარალის უწყისი აქამდეც დგებოდა, მაგრამ ახალი ფორმით ისინი შინაარსობრივად გაცილებით უფრო მეტად არის დატვირთული. ბალანსგარეშე ანგარიშგების უწყისის და ეკონომიკური მაჩვენებლების ცხრილის გამოქვეყნება კი აქამდე საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. ადრე ეროვნული ბანკის მოთხოვნა იყო, რომ კომერციულ ბანკს გამოექვეყნებინა იმ აქციონერთა სია, ვინც ფლობდა აქციათა 1%-ს, ან მეტს. ხოლო ახალი წესის თანახმად, კომერციულმა ბანკმა დამატებით უნდა გამოაქვეყნოს აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა. ცხადია, ახალ ფორმებში არაფერია ისეთი ინფორმაცია, რომელიც ეროვნული ბანკისთვის რაიმე სიახლეს წარმოადგენს და ეს, უბრალოდ, ფართო საზოგადოებისთვის იქნება სიახლე. ისიც ცხადია, რომ ბალანსისა და მოგება-ზარალის უწყისის წაკითხვას გარკვეული ცოდნა სჭირდება. როგორც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე შენიშნავს, რიგითი დეპოზიტარისთვის, ჩვეულებრივი კლიენტისთვის ეკონომიკური მაჩვენებლების აღქმა და ანალიზი ძნელი იქნება, მაგრამ სპეციალისტს, რომელსაც აქვს გარკვეული ეკონომიკური ცოდნა, ამ ინფორმაციის გამოქვეყნება დაეხმარება, რომ მან კიდევ უფრო ადექვატური გადაწყვეტილება მიიღოს ამ ბანკში ანგარიშის გახსნასთან დაკავშირებით, დეპოზიტის დადებასთან დაკავშირებით, ბანკის მდგრადობისა და საიმედოობის შესაფასებლად და ა.შ.

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მუშაობას კომერციული ბანკების საზედამხედველო მიზნებისთვის ანგარიშგების სრულად ფასს-ზე გადაყვანის პროექტზე. აღნიშნული პროექტი გულისხმობს კომერციული ბანკების მიერ მუდმივი საზედამხედველო ანგარიშგების დაფუძნებას ევროკავშირში დამკვიდრებულ ანგარიშგების ფორმაზე (FINREP), რომელიც ფასს-ის მიხედვით არის მომზადებული. 2018 წლის პერიოდში

კომერციულ ბანკებს დაევალებათ ამ პრინციპით ემოქმედათ, საცდელი ვერსიები შემოშავებულია და მიმდინარეობს მათი დახვეწა.

რა არის FINREP?

ბაზელი III-ის სტანდარტების შესაბამისად ევროპის ბანკთა უწყება (European Banking Authority) აქვეყნებს მანდატს, რომელიც მოიცავს როგორც კაპიტალის, ასევე ფინანსური ინფორმაციის წარდგენის წესებს. ევროპის ბანკთა უწყებამ წარმოადგინა 2 სახის რეპორტის შაბლონი:

1. ზოგადი ანგარიშს სტანდარტი (COmmon REPorting Standards (COREP), რომელიც მოიცავს კაპიტალის შესახებ ინფორმაციას.
2. ფინანსური ანგარიშს სტანდარტი FINancial REPorting Standards (FINREP).

რა არის FINREP-ის მთავარი მიზანი?

- ევროპული საანგარიშო მოთხოვნების სტანდარტიზაცია, რათა შემცირდეს ფირმებისათვის სხვადასხვა მოთხოვნები, რომლებიც წარმოდგენილია ევროპული სამეთვალყურეო გაერთიანებების მხრიდან;
- ევროპული საბანკო მონაცემების ცენტრალური საცავის შექმნა და საზღვრისპირა რეგიონების რისკის იდენტიფიცირება და მართვის გაუმჯობესება;
- მიმოხილვების, ტენდენციის პროგნოზების, რისკის ანალიზისა და გამჭვირვალობის გაზრდის ხელშეწყობა, განსაკუთრებით კი უცხოურ ფირმებში.

აღსანიშნავია, რომ FINREP მოიაზრებს კონსოლიდირებულ ანგარიშგებას მაშინ, როდესაც არსებული საზედამხედველო ანგარიშგებები ინდივიდუალურ ანგარიშგებაზე არის დაფუძნებული.

### 3.6 ბაზელი III საერთაშორისო ასპარეზზე

გერმანია-Deutsche Bundesbank

ბაზელი III დანერგვა თავისთავად გულისხმობს მონიტორინგის მთელ სისტემას, რომელსაც კომიტეტი ახორციელებს. კვლევები და ანალიზები ტარდება წელიწადში ორჯერ ივნისისა და დეკემბრის ბოლოს. ევროპულ დონეზე მონიტორინგის პირველი ნაბიჯი



გადაიდგა 2014 წლის 1 იანვარს. გერმანიის ცენტრალური ბანკის მიერ წარმოდგენილია 30 დეკემბერს ჩატარებული მონიტორინგის შედეგები. კვლევა ჩატარდა გერმანიის 36 კომერციულ ბანკში, მათ შორის შვიდი მსხვილი საერთაშორისო დონის ბანკია (მათი სტატუსი 1 ჯგუფის ბანკია). მათი საწესდებო კაპიტალი 3 მილიარდი ევროთიაგანსაზღვრული. ყველა კატეგორიის ბანკი, პირველი და მეორე კატეგორიის, აკმაყოფილებს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს, (12.8% და 17.1%) გარდა ამისა შესრულებულია კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის სისტემა, რომელიც 2016 წლიდან 2019 წლის ჩათვლის ეტაპობრივად განხორციელდება. კოეფიციენტებია პირველი ჯგუფის ბანკებისათვის 3.7 %, ხოლო მეორე კატეგორიის ბანკებისათვის 4.7%.

2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 1 ჯგუფის ბანკებისათვის ლიკვიდობის გადაფარვის მაჩვენებელია 146.2%, ხოლო მე-2 ჯგუფისთვის 174.5%. ყველა ბანკმა შეასრულა 100%-იანი შეფარდება, რომელიც 2018 წლიდან იქნება აპრობირებული. გრძელვადიანი სტრუქტურული წმინდა სტაბილური დაფინანსების თანაფარდობა (NSFR) საშუალოდ შეადგენს 105.3% 1 ჯგუფისთვის. 100%-იანი მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ჯგუფი 1 ბანკებმა უნდა გაზარდონ სტაბილური დაფინანსება 19.3 მილიარდ ევროს ღირებულებით. ჯგუფის 2 ბანკის საშუალო NSFR არის 118.6%. საბანკო დონეზე, თითქმის ჯგუფი 2 ყველა ბანკმა უკვე შეასრულა 100% -იანი თანაფარდობა.

კაპიტალის და ლიკვიდობის ნაჩვენებლების გასმყარებლად საჭირო რაოდენობები ევროპისა და ამერიკისთვის 2019 წლამდე შემდეგი სახისაა:

აშშ

- კაპიტალი 600 მილიარდი აშშ დოლარი
- მოკლევადიანი ლიკვიდობა 800მილიადი აშშ დოლარი
- გრძელვადნია ლიკვიდობა 2.2 ტრილიონი აშშ დოლარი

ევროპა

- კაპიტალი 800 მილიარდი აშშ დოლარი
- მოკლევადიანი ლიკვიდობა 1200 მილიადი აშშ დოლარი

- გრძელვადიანი ლიკვიდობა 2.3 ტრილიონი აშშ დოლარი

ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების საბანკო და ფინანსურ სექტორს უფრო მეტი ძალაუფლება აქვს და სანდოობის მაღალი დონით გამოირჩევა. ევროპასთან შედარებით ყველა მაჩვენებლის მოცულობა დაბალია, რაც მისი მზაობას უფრო მეტად უსვამს ხაზს. მიუხედავად 2008 წლის ფინანსური კრიზისისა ლიკვიდობის თვალსაზრისით აშშ-ის საბანკო სექტორს „თავი ქუდში“ აქვს, რადგან მსოფლიოს ფინანსური რესურსების უდიდესი ნაწილი მოძრაობს და საბანკო კრიზისების აცილების შესაძლებლობა უფრო მაღალია.

გარდა ამ საკითხებისა, საინტერესოა ასევე ევროპარლამენტის მიერ გაკეთებული მოხსენება ბაზელის კომიტეტის მიერ ბაზელი III სტანდარტით შემუშავებული ლიკვიდაციის განაკვეთისა და რისკების შეფასებები:<sup>15</sup>

#### ცხრილი 3.4

ქვეყანა	სარისკო კაპიტალის რეგულაციათა შეფასება	LCR რეგულაციის შეფასება
არგენტინა	მოქნილი	მოქნილი
ავსტრალია	მოქნილი	ნორმაზე დაბალი
ბრაზილია	მოქნილი	ნორმაზე დაბალი
კანადა	მოქნილი	ნორმაზე დაბალი
ჩინეთი	მოქნილი	მოქნილი
ევროკავშირი		ძალზე მოქნილი
ინდოეთი	მოქნილი	ძალზე მოქნილი
ინდონეზია	ძალზე მოქნილი	მოქნილი
იაპონია	მოქნილი	მოქნილი
კორეა	ძალზე მოქნილი	მოქნილი
მექსიკა	მოქნილი	მოქნილი

<sup>15</sup> [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2017/587390/IPOL\\_BRI\(2017\)587390\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2017/587390/IPOL_BRI(2017)587390_EN.pdf)

რუსეთი	მოქნილი	მოქნილი
საუდის არაბეთი	მოქნილი	ძალზე მოქნილი
სინგაპური	მოქნილი	მოქნილი
სამხრეთ აფრიკა	მოქნილი	მოქნილი
შვეიცარია	მოქნილი	ნორმაზე დაბალი
თურქეთი	მოქნილი	მოქნილი
აშშ	ძალზე მოქნილი	მოქნილი

ეს ცხრილი ცხადყოფს, რომ ზედამხედველობის განხორციელების შედეგები სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისგან განსხვავდება. ნამდვილად არაა გასაკვირი რომ კაპიტალის რისკისა და ლიკვიდაციის მაჩვენებლების ნორმები ევროკავშირისა და აშშ-ში დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, რადგან ყოველთვის მოწინავე ადგილს იკავებენ.

## თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარება და მისი რეგულაცია

### 4.1 ზოგადი მიმოხილვა

90-იანი წლების შემდგომი პერიოდი წარმოდგენილია ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარებით, ფინანსური სფეროს ბიზნეს მოდელების ტრასფორმაციითა და ინოვაციის პოტენციალით. ტექნოლოგიების განვითარებამ გავლენა მოახდინა საფინანსო „ლანდშაფტზე“. საფინანსო სექტორში ინტერნეტ-ტექნოლოგიებმა შეიცვალა ბიზნეს პროცესები, ხელი შეუწყო ბიზნესსა და მომხმარებელს შორის ურთიერთქმედების ბალანსს. დღეს, ფინანსური კომპანიები წარმატებისათვის იყენებენ ინტერნეტ-ტექნოლოგიებს, web-ს, სიცოცხლისუნარიან ბიზნეს-მოდელებსა და გრძელვადიან ციფრულ სტრატეგიებს. თანამედროვე ციფრულ სამყაროში, ფინანსური მომსახურების ინდუსტრია მოიცავს FinTech-ის პოტენციალს. ტერმინი FinTech წარმოდგენილია „ფინანსებისა“ და „ტექნოლოგიების“ შერწყმით. ცნება გულისხმობს ფინანსური მომსახურების სფეროში, ტექნოლოგიებისა და ბიზნეს მოდელების გამოყენებას.

ფინანსური ინსტიტუტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნერგავენ ფინტეკ გადაწყვეტილებებს საკუთარი სერვისების გაუმჯობესებისა და კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. აღნიშნული ტენდენცია, თავის მხრივ, ზრდის ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ რისკებს, რაც ასევე ზედამხედველის ყურადღების საგანიცაა. იმისათვის, რომ არ მოხდეს საფინანსო სფეროში ტექნოლოგიურ განვითარებასთან დაკავშირებული ინოვაციების შეზღუდვა და ტექნოლოგიური რისკების ზრდა, ზედამხედველებმა დაიწყეს ე.წ. „სენდბოქს“ მიდგომის დანერგვა. ეროვნული ბანკი სწავლობს აღნიშნულ მიდგომებს შემდგომში მათი დანერგვის მიზნით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ FinTech-ს, როგორც ფინანსურ ტექნოლოგიას აღწერენ, როგორც საფინანსო მომსახურების გადამტვირთველ ტექნოლოგიას. FinTech-მა გარდაქმნა ფულის მართვის გზები. იგი გავლენას ახდენს პრაქტიკულად ყველა ფინანსურ აქტივობაზე, საბანკო ანგარიშსწორებიდან დაწყებული კაპიტალის მართვის ჩათვლით. ფინანსური სერვისი არის ეკონომიკის სასიცოცხლო წყარო და განვითარების ფუნდამენტი. მსოფლიოში, საფინანსო მომსახურების სექტორი უმსხვილესია შემოსავლების

თვალსაზრისით, მოიცავს ფართო სპექტრის ბიზნეს ორგანიზაციებს, კომერციული ბანკებს, საკრედიტო კომპანიებს, საბროკერო და სადაზღვევო კომპანიებს და სხვა. ბოლო პერიოდში, FinTech-მა ციფრულ ეკოსისტემაში კლასიკური საბანკო სისტემის გადატვირთვა გამოწვია.

დღეს, ბანკები იმყოფებიან, ციფრული ინოვაციების ცენტრში. ისინი განიხილავენ ელექტრონული კომერციის ბიზნეს-მოდელებს, მომხმარებელს სთავაზობენ ინოვაციურ პროდუქტებსა და მომსახურებას, მონაწილეობენ FinTech-ის პარტნიორულ ურთიერთობებსა და ინოვაციური სტარტაპების დაფინანსებაში, ხელს უწყობენ ციფრული ბაზრის განვითარებას (მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში), სამართლიანი კუნკურენტუნარიანი სივრცის ფორმირებას, ინტერნეტ-მომხმარებლების უფლებების დაცვას, ნდობისა და კიბერუსაფრთხოების ზრდას.

აღსანიშნავია, რომ საფინანსო ინდუსტრიამ სწრაფად გაითავისა ტექნოლოგიების სარგებელი და უპირატესობა. აღნიშნული ხდება პლატფორმის ბაზაზე, მონაცემთა ინტენსიური დამუშავების, კაპიტალის მოზიდვის, აქტივების მართვის, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების, მომხმარებლის მოზიდვის, აქტივების ეფექტიანად გამოყენებისათვის.

ფინტექი გამოირჩევა შემდეგი თვისებებით: იგი არის ტექნოლოგიური ინოვაცია და ხასიათდება სისწრაფით; სიმარტივით, მოქნილობით და კომფორტულობით, რაც გავლენას ახდენს ფინანსური სერვისის ზრდა-განვითარებაზე; მისი მეშვეობით ოფისიდან გაუსვლელად შესაძლებელია ფინანსურ რესურსებზე წვდომა და მათი მართვა. აღსანიშნავია, რომ ფინტექის ძირითადი ბენეფიციარები მცირე და საშუალო ბიზნესია. მისი ბაზარი მოიცავს:

- დაკრედიტებას;
- ვაჭრობას;
- საფინანსო სფეროს ელექტრონულ კომერციას;
- საფინანსო სფეროს ონლაინ ვაჭრობას;
- საფინანსო სფეროს ონლაინ მიწოდების ქსელის მართვას.

ქართული საბანკო სექტორი, ერთ-ერთი მოწინავე სექტორია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ათვისების პროცესში, რაც გამოიხატება დისტანციური საბანკო მომსახურების არხების განვითარებით, საბანკო ტექნოლოგიების განვითარებაში ინვესტირებით, მრავალფეროვანო საბანკო პროდუქტების წარდგენით, უსაფრთხოებითა და მოქნილობით.

ციფრული პროცესების ფონზე, საქართველოს საბანკო სისტემა შეიძლება წარმოდგენილი იქნას: ციფრული არხებით (ონლაინ და მობილური არხები), ახალი პროდუქტებითა და მომსახურებით, სამომხმარებლო სერვისებით, სისტემებითა და პროცესებით, რაც ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული.

ტრადიციული ფილიალების ტრანსფორმაციის პროცესი შეიძლება განხილული იქნას გერმანიის ბანკის (Deutsche Bank) მაგალითზე. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში, Deutsche Bank-მა დაიწყო რეალური ფილიალების ცვლილება ვირტუალურ სისტემებზე. შედეგად, მისი საინვესტიციო გეგმები შეფასდა 1 მლრდ დოლარად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პროცესს წინ უძღოდა საზოგადოების ფართომასშტაბიანი კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის პროცესი, ინტერნეტ-წიგნიერების ამაღლების ღონისძიებები, ინტერნეტ-ბაზრისა და ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშემწყობი პროგრამები.

ფინანსურ ტექნოლოგიებს დიდი ისტორია აქვს. ფინტექის განვითარება 1950-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ფინანსურმა ტექნოლოგიებმაც განიცადა ევოლუცია. თითოეული ადამიანი განიცდის ტექნოლოგიის ზეგავლენას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ფინანსური ტექნოლოგიები ახდენს ინდუსტრიის რევოლუციას, მუდმივად იქმნება ინოვაციური ფინანსური პროდუქტები და მომსახურებები მომხმარებლებისთვის, რაც წარმოადგენს უდიდეს გამოწვევას ტრადიციული ფინანსური სერვისის მქონე კომპანიებისთვის.

გასული 30 წლის განმავლობაში ფინანსური ტექნოლოგიები იხვეწება და ჩვენ მოწმენი ვხდებით იმ გარდაქმნებისა, რამაც უბრალო საბანკო დეპოზიტების გახსნიდან ბლოკჩეინჯებისა და ციფრულ ბანკთან მიგვიყვანა. ამან თავისთავად შეცვალა ფინანსური სექტორის საბაზრო გარემოპირობები. წარმოიშვა როგორც ფინანსური ტექნოლოგიების

მიწოდების, ასევე მოთხოვნის ბაზრები. მიწოდების ბაზარი მოიცავს სააპლოკაციო პროგრამის ინტერფეისს (APIs), cloud computing- კომპიუტერული სისტემა, რომელიც მონაცემების შენახვა-ანალიზისთვის გამოიყენება, მომხმარებელთა დამოკიდებულება ე.წ. „სმარტფონებსა“ და ტექნოლოგიებზე.

#### APIs-ის გამოყენება

სხვადასხვა ციფრული აპლიკაციები გამოიყენება კომუნიკაციისა და გაცვლით პროცესებში, რომელიც მოითხოვს ნაკლებ ადამიანურ რესურსს. ციფრულ ტექნოლოგიებს ათწლეულების განმავლობაში გამოიყენებდნენ. 2017 წლისასთვის 17000 ზე მეტი აპლიკაციაა შექმნილი მსოფლიოს მასშტაბით.<sup>16</sup>

მობაილ ბანკი და „სმარტფონები“

დიდი ფუნქციური დატვირთვით მობილური მოწყობილობები ხდება მომხმარებელთა ყოველდღიურობის ნაწილი. აქედან გამომდინარე მოთხოვნებიც დროთა განმავლობაში მრავალფეროვანია მათ შორის ფინანსური მიმართულებითაც. მობილური აპლიკაციებით გაცილებით მარტივია შესრულდეს მარტივი საბანკო ტრანზაქციები, რაც დროის ეკონომიას გულისხმობს. მომხმარებლისთვის საკმაოდ მარტივია და მისაღები. საქართველოში ბანკებს თავაინთი mobile ბანკინგი აქვთ შექმნილი. მე როგორც 2 მსხვილი ბანკის მომხმარებელი, ვთვლი, რომ საკმაოდ კომფორტულია მათი გამოყენება.


Cloud computing-ღრუბლოვანი ტექნოლოგიები

ღრუბლოვანი გარემო (cloud) ეს არის სერვერების ქსელი, სადაც ყოველ სერვერს აქვს განსხვავებული ფუნქცია. ღრუბლევანი ტექნოლოგიების ისტორია სათავეს იღებს 1963 წლიდან, როდესაც DARPA (the Defense Advanced Research Projects Agency) შეიმუშავა პროექტი რომლის თანახმად ერთი კომპიუტერის გამოყენება უნდა შეძლებოდა 2 ან რამდენიმე მომხმარებელს ასევე მათ გამოიყენეს სიტყვა ვირტუალიზაცია, რომელიც აღნიშნავდა თანამედროვე ვირტუალიზაციის საწყის იდეებს. პროექტი თანდათან განვითარდა და 21 საუკუნეში მიაღწია დიდ წარმატებას. ღრუბლოვანი ტექნოლოგიების ძირითადი იდეა

<sup>16</sup> [https://www.fsb.org/wp-content/uploads/P140219.pdf?fbclid=IwAR0K4q2DcjrbaUEqR-rNZqD8DghhWD-NWoe\\_MeLX\\_WmHJfKRQFxfj72Inbg](https://www.fsb.org/wp-content/uploads/P140219.pdf?fbclid=IwAR0K4q2DcjrbaUEqR-rNZqD8DghhWD-NWoe_MeLX_WmHJfKRQFxfj72Inbg)

მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთ სერვერზე შესაძლოა გაშვებული იყოს აპლიკაცია ან რაიმე მომსახურება და სერვისი. მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით ღრუბლოვანი ტექნოლოგიები დღესდღეისობით ერთერთ ყველაზე პოპულარულ გადაწყვეტილებად ითვლება მონაცემთა ცენტრებში მონაცემების მართვის და დამუშავების მეთოდოლოგიაში.

ცხრილი 4.1 Cloud technologies (აპლიკაციათა რაოდენობა)



<sup>17</sup> ღრუბლოვანი ტექნოლოგიების პოპულარობის მიზეზებად შეძლება ჩაითვალოს შემდეგი უპირატესობები:

- ვირტუალური მონაცემთა სანახის ცენტრი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ჰქონდეთ წვდომა მონაცემებთან ნებისმიერი ადგილიდან, მაშინ როცა მონაცემთა ადგილმდებარეობას მნიშვნელობა არ აქვს;
- საექსპლუატაციო ხარჯების მაქსიმალურად შემცირების შესაძლებლობა;
- ვირტუალური სერვერები ხელს უწყობს სერვერების კონსოლიდაციას, რაც საშუალებას გვაძლევს გამიყენოთ რამდენიმე პოსტინგი ერთ ვირტუალურ მანქანაზე.

<sup>17</sup> [https://www.fsb.org/wp-content/uploads/P140219.pdf?fbclid=IwAR0K4q2DcjrbcUEqR-rNZqD8DghhWD-NWoe\\_MeLX\\_WmHJfKRQFxfj72Inbg](https://www.fsb.org/wp-content/uploads/P140219.pdf?fbclid=IwAR0K4q2DcjrbcUEqR-rNZqD8DghhWD-NWoe_MeLX_WmHJfKRQFxfj72Inbg)



- გაუმჯობესებული მდგრადობა და მოქნილობა.

დღესდღეისობით ფინანსური ინსტიტუტები იყენებენ ღრუბლოვან ტექნოლოგიებს მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტის, ადამიანური რესურსებისა და ფინანსური ანგარიშგებისათვის. რამდენიმე სახის cloud computing

<p>Software as a Service (SaaS) - წარმოადგენს მექანიზმს რომელიც მდგომარეობს ღრუბლოვან გარემოში არსებული პროვაიდერის აპლიკაციის გამოყენებაში. აპლიკაცია ხელმისაწვდომია პროვაიდერის სერვერებზე კლიენტის მხარეს არსებული რაიმე ინტერფეისის სახით (მაგალითად web პორტალი). მომხმარებელი არ აკონტროლებს ბაზისურ ღრუბლოვან ტექნოლოგიას, ისეთი როგორცაა ქსელთან კავშირი, ოპერაციული სისტემები, მონაცემთა სახები და ა.შ.</p>
<p>Platform as a Service (PaaS) – ამ გარემოში შესაძლებელია პროგრამული ენების გამოყენება, ბიბლიოთეკების მართვა და ასევე პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, ისევე როგორც SaaS -ში აქაც მომხმარებელი არ აკონტროლებს ბაზისურ ღრუბლოვან ტექნოლოგიას, ისეთი როგორცაა ქსელთან კავშირი, ოპერაციული სისტემები, მონაცემთა სახები და ა.შ.</p>
<p>Infrastructure as a Service (IaaS)- წარმოადგენს მონაცემების სანახ სისტემას, დამუშავებას, ქსელის ინფრასტრუქტურას და სხვა გამოთვლითი რესურსების უზრუნველყოფას სადაც მომხმარებელი შეძლებს შეიმუშავოს, გაუშვას და განავითაროს მისი პროგრამული უზრუნველყოფა. მომხმარებელი არ მართავს ინფრასტრუქტურას, მაგრამ აქვს კონტროლი ოპერაციულ სისტემაზე და შეზღუდულად შეუძლია ქსელის კომპონენტების მართვაც.</p>

მსოფლიო ფინანსური კრისიზის შემდგომ G20 რეგულარულად ახორციელებს რეფორმებს მოქნილი ფინანსური სისტემის შესაქმნელად. ფინანსური სტაბილურობის საბჭო (FSB Financial Stability Board) ყოველკვალტრულად აქვეყნებს G20-ის ფინანსური რეგულაციების რეფორმების შედეგებს. აღნიშნული რეგულაციები ფინტეკის განვითარებაში გარკვეულ როლს ასრულებს. ლიცენზირების და გონივრული ზედამხედველობის ჩარჩო-პირობები ბიძგს აძლევს, წარმოიშვას ახალი ფინტეკ ბიზნეს

მოდელები. ბაზელის კომიტეტიც, როგორც საბანკო რეგულაციების განმახორციელებელი ორგანო ლიცენზირებისა და მონიტორინგის განსახორციელებლად მიმართავს ფინტეკს.

ლიცენზირების და ზედამხედველობის მექანიზმები უნდა პასუხობდეს თანამედროვე სიახლეებს, ამიტომაც ბაზელის კომიტეტი აქვეყნებს ანგარიშებს, სადაც წარმოდგენილია რეკომენდაციები, იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება საბანკო სერვისების გაუმჯობესება ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებით.

#### 4.2 ფინანსური ტექნოლოგიების ბაზრები და გავრცელების არეალი

##### მარეგულირებელი სავარჯიშო მოედანი

მარეგულირებლის სავარჯიშო მოედანი“ არის ფინანსური სექტორის მარეგულირებლის მიერ დაწესებული ჩარჩო, რომელიც ინოვაციური ფინანსური პროდუქტის, მომსახურებისა და მოდელის მიმწოდებელ სუბიექტს საშუალებას აძლევს თავისი პროდუქტი მარეგულირებლის მიერ კონტროლირებად გარემოში გამოსცადოს. კონტროლირებადი გარემო გულისხმობს ფინანსური სექტორის ზედამხედველის მეთვალყურეობის ქვეშ ინოვაციური პროდუქტისა და სერვისის მიმწოდებელი სუბიექტისათვის გარკვეული გამონაკლისების დაშვებასა და არსებული რეგულაციებიდან გადახვევის საშუალების მიცემას ამ პროდუქტისა და სერვისის გამოცდის მიზნით. „მარეგულირებლის სავარჯიშო მოედნის“ შექმნა ფინანსურ ბაზრებზე განხორციელებულ ტექნოლოგიური ინოვაციების სწრაფ ცვლილებებს უკავშირდება. „მარეგულირებლის სავარჯიშო მოედნის“ იდეის განვითარება ფინანსური სექტორის ზედამხედველების მიერ არის მცდელობა, ერთი მხრივ, წაახალისონ და ხელი შეუწყონ ინოვაციების განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზი გაუსვან 2007-2008 წლების ფინანსური კრიზისის შემდგომ ფინანსური ზედამხედველობის გამკაცრებულ რეგულაციებს. დღესდღეობით მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანა აქტიურად ცდილობს ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით „მარეგულირებლის სავარჯიშო მოედნის“ განვითარებას.

სინგაპურის მონეტარული უწყება აქტიურად ახალისებს ფინანსური ტექნოლოგიების ექსპერიმენტებს, რათა ინოვაციური პროდუქტები და სერვისები რეალურ

საბაზრო პირობებში გამოიცადოს და მათი წარმატებული ტესტირების შემდეგ საშუალება მიეცეს გავიდეს უფრო ფართო ბაზარზე, როგორც სინგაპურში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. „მარეგულირებლის სავარჯიშო მოედნის“ საშუალებით ფინანსურ ინსტიტუტებსა და ფინანსური ტექნოლოგიების სხვა მიმწოდებლებს შეუძლიათ თავიანთი ინოვაციური პროდუქტი ან სერვისი რეალურ გარემოში, წინასწარ განსაზღვრული პირობებითა და ხანგრძლივობით გამოსცადონ. „მარეგულირებლის სავარჯიშო მოედანი“ მოიცავს შესაბამის დაცვის მექანიზმებსაც, რომლებმაც ინოვაციური პროდუქტის ან სერვისის წარუმატებლობის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს ფინანსური სექტორის სიმყარე და სტაბილურობა. ინოვაციური ფინანსური პროდუქტისა და სერვისის მახასიათებლებიდან გამომდინარე, სინგაპურის მონეტარული უწყება იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა სახის საზედამხედველო მოთხოვნებისგან შეიძლება გათავისუფლდეს ინოვაციური პროდუქტის მიმწოდებელი. „მარეგულირებლის სავარჯიშო მოედნის“ დასრულების შემდეგ, მონაწილე ინსტიტუტი სრულად უნდა შეესაბამებოდეს არსებულ საზედამხედველო მოთხოვნებს ყოველგვარი შეღავათების გარეშე.

ავსტრალია ავსტრალიის ფასიანი ქაღალდებისა და ინვესტიციების კომისიის მიერ შემუშავებული „მარეგულირებლის სავარჯიშო მოედნის“ ჩარჩო ფინანსური ტექნოლოგიების მწარმოებელ კომპანიებს საშუალებას აძლევს გარკვეული სერვისების მიწოდება განახორციელონ ავსტრალიის ფინანსური სერვისების ან საკრედიტო ლიცენზიის გარეშე 12 თვემდე ვადით. ლიცენზირების მოთხოვნისგან თავისუფლდება მხოლოდ გამონაკლისი ფინანსური სერვისები და პროდუქტები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს.

შვეიცარია ტექნოლოგიური პროგრესის მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შვეიცარიის ფინანსური ბაზრების საზედამხედველო უწყება აქტიურად ცდილობს ინოვაციური ფინანსური ტექნოლოგიების კომპანიების წახალისებას. იგი აქტიურად მუშაობდა ფინანსური ტექნოლოგიების შემქმნელი კომპანიებისთვის ლიცენზირებასთან და რეგულირების საკითხებთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაზეც. ამ მიზნით, 2016 წლის მარტში შემოდებულ იქნა „მარეგულირებლის სავარჯიშო მოედანი“, რომელიც

ინოვაციური კომპანიებისათვის ლიცენზირების გამარტივებულ პროცესს გულისხმობს. ეს პროგრამა მორგებულია საბანკო აქტივობებზე, თუმცა დაწესებული აქვს შეზღუდვები გასესხებასთან დაკავშირებით. „მარეგულირებლის სავარჯიშო მოედნის“ მიზანია ხელი შეუწყოს ფინანსური ინოვაციების განვითარებას ისე, რომ არ დაირღვეს მომხმარებელთა უფლებები და ფინანსური სისტემის სტაბილურობა.

ჰოლანდიის ცენტრალური ბანკი და ფინანსური ბაზრების მარეგულირებელი აქტიურად ცდილობენ ფინანსური ინოვაციებისათვის ხელის შეწყობას. ამ პროცესში ასევე აქტიურად არიან ჩართულები ჰოლანდიის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები.

ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით, 2017 წლის 1-ლი იანვრიდან ჰოლანდიაში ამოქმედდა „მარეგულირებელი სავარჯიშო მოედანი“, რომელიც ბაზრის მონაწილეებს ან ბაზარზე შესვლის მსურველებს საშუალებას აძლევს ბაზარზე შეიტანონ თავიანთი ინოვაციური ფინანსური პროდუქტი, მომსახურება ან ბიზნესი მოდელი. „მარეგულირებლის სავარჯიშო მოედანი“ ხელმისაწვდომია როგორც უკვე რეგულირებადი ინსტიტუტებისთვის, ასევე ბაზარზე ახლად შესვლის მსურველებისთვის, რომელთა მიერ შეთავაზებულ ინოვაციურ პროდუქტს შეუძლია დადებითად იმოქმედოს სტაბილურ ფინანსურ სექტორზე, ფინანსური ბაზრების ეფექტიან ფუნქციონირებაზე და მომხმარებლებისა და ინვესტორების მდგრად ფინანსურ კეთილდღეობაზე.

ინდონეზიაში 2013 წელს ინდონეზიის ბანკმა (Bank of Indonesia) ჩაუშვა საპილოტე პროგრამა იმ ბანკებისათვის, რომლებსაც არ ჰქონდათ ბევრი ფილიალი (Pilot Branchless Banking Program). პროგრამა ითვალისწინებდა ბანკებისა და საკომინუკაციო კომპანიების ურთიერთიერთობას, რასაც ზედამხედველობას რა თქმა უნდა, უწევდა, ცენტრალური ბანკი. ამ პროგრამის მთავარი მიზანი იყო, რომ ფილიალების მცირე რაოდენობის მქონე ბანკებისათვის გადახდის სისტემის სერვისი დახვეწილიყო, ამიტომაც 2013 წელს შეიქმნა ახალი სექტორი, სადაც გაერთიანებული იყო ბანკების და დამოუკიდებელი სააგენტოების ნაწილი. ეს სექტორი აგვარებდა 2013 წლამდე არსებულ პრობლემებს, კერძოდ ციფრული ტექნოლოგიებისა და მობაილ ბანკების განვითარებას. ინდონეზიის ბანკმა მანამდე არსებული წინააღმდეგობების ნაწილი აღმოფხვრა და 5 ბანკთან (Bank Mandiri, BRI, BTPN,

Bank Sinar, and CIMB Niaga) და ოთხ სააგენტოსთან (Telkomsel, Indosat, XL Com, and Telkomall) ერთად დაიწყო ფინანსური ტექნოლოგიური პროგრესი.

ფილიპინების ცენტრალურმა ბანკმა (Bangko Sentral ng Pilipinas (BSP) შექმნა ისეთი პოლიტიკური გარემო, რომელიც მიზნად ისახავდა ხელი შეეწყოს ტექნოლოგიურ ინოვაციებს და ფინანსური მომსახურების გაუმჯობესებას. როგორ წესი, ტრანსფორმაციის პერიოდი გულისხმობს დამატებით წესების შემოღებას. ამიტომაც ფილიპინებში შეიქმნა პროგრამა, რომლის სახელწოდებაცაა ტესტირებისა და სწავლების პროგრამა. ცენტრალური ბანკი ინვესტორებს მოუწოდებდა, რომ შეეფასებინა ახალი რისკები, რომლებიც ახლდა ამ ფინანსურ პროგრესს. ელექტრონული ფულის შემოღების შემდგომ გარკვეული პერიოდი აიღეს ბანკებმა და სწავლებისა და ტესტირების საპილოტე რეჟიმის გავლის შემდგომ ხუთ წელიწადში სრულად შეძლეს რისკების გათვალისწინება და პრობლემების მოგვარება.<sup>18</sup>

#### 4.3 საქართველოში განხორციელებული ფინანსური ინოვაციები (Fintech in Georgia)

მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორიის შესახებ პირველი წყაროები გამოჩნდა, ადამიანების ცხოვრებაში ერთი უცვლელი და ცალსახა ტენდენცია გამოიკვეთა - ისტორიის ყველა მონაკვეთში ადამიანები ცხოვრების გამარტივებისთვის იბრძოდნენ. არც თუ ისე დიდი დროა გასული მას შემდეგ, რაც ადამიანებს ქალაქის ფულის შემცვლელად ვერაფერი წარმოედგინათ. არც მას შემდეგ გასულა საუკუნე, რაც კომუნალურების გადასახდელად გრძელ რიგებში დგომა გვიწევდა. ასეთ რიგებში დღემდე დგანან ისინი, ვისთვისაც თანამედროვე ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი არ არის, ან, უბრალოდ, ვინც ტექნოლოგიებში ვერ ერკვევა, ან მათ არ ენდობა. განსხვავებული მდგომარეობაა ახალგაზრდებში, რომელთა ფინანსური ცხოვრებაც სწორედ ციფრულად დაიწყო. ინტერნეტ ბანკი, ონლაინ გადახდის სერვისები, სწრაფი გადახდის აპარატები, ბლოკჩეინი და ბიტკოინები - ეს ყველაფერი თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურობის ნაწილია. მათ კარგად ესმით, რომ ფინანსური ტექნოლოგიები (fintech) ბევრად უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ფულთან ფიზიკური კომუნიკაცია.

<sup>18</sup> <https://www.cgap.org/sites/default/files/Working-Paper-Regulatory-Sandboxes-Oct-2017.pdf>

## ფინანსური ოპერაციების გაციფრულების მიზნები

ფინანსური ოპერაციების გაციფრულების ტენდენცია ორ მოვლენას უკავშირდება. პირველ რიგში, ტექნოლოგიების განვითარებასა და ინტერნეტის გლობალურად გავრცელებას. რამდენიმე წლის წინ მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 15%, მოგვიანებით კი 25% მოიხმარდა ინტერნეტ პროდუქტს, თუმცა ოცდამეერთე საუკუნეში ეს ციფრი მნიშვნელოვნად იზრდება. 2017 წლის მონაცემებით ინტერნეტს მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი, 51% მოიხმარს. ეს რიცხვი რამდენიმე წელიწადში კიდევ უფრო გაიზრდება - სწორედ ეს არის ტექნოლოგიური გიგანტების მთავარი მიზანიც. მეორე მიზეზი, თუ რატომ მოხდა ფინანსური ოპერაციების გაციფრულება, ადამიანების ცხოვრების ტემპისა და მოთხოვნილებების ცვლილებასთანაა დაკავშირებული. განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო მეტი კომპანია, შესაბამისად კი, სამუშაო ადგილი იქმნება. განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების დიდ ნაწილში კი მშპ და, შესაბამისად, მოსახლეობის კეთილდღეობის მაჩვენებელიც, სწრაფად იზრდება.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა ფინანსურ და ბიზნეს სექტორებს საშუალება მისცა, ადამიანების მოთხოვნილებები უფრო მეტად დაეკმაყოფილებინათ, ვიდრე ამას მანამდე ახერხებდნენ. გარდა ამისა, ბანკებისა და სხვა ბიზნეს-წარმომადგენლების მიზანი ყოველთვის ერთია - მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯით უფრო მეტი მოგების მიღება. ტექნოლოგიებმა მათ ამის საშუალება მისცა. წარსულში ფინანსური ოპერაციების შესასრულებლად გაცილებით მეტი სერვისცენტრი და, შესაბამისად, მეტი პერსონალი დაქირავება იყო საჭირო. ამ ტიპის დანახარჯები ბიზნესს-სექტორს სულ უფრო უმცირდება, რაც დიდწილად ფინანსური ოპერაციების გაციფრულების დამსახურებაა. დღეს ადამიანებს აღარ სჭირდებათ სერვის-ცენტრებში მისვლა და თანხის ადგილზე გადახდა. ამისთვის არსებობს ონლაინ აპლიკაციები და საიტები, რომელთა საშუალებითაც მომხმარებელი რამდენიმე წამში ახერხებს ოპერაციების შესრულებას.

ამგვარი განვითარება ცალსახად ადამიანების დაკვეთა იყო, რადგან მათ დრო არ ჰყოფნიდათ ბიუროკრატიული პროცესებისთვის. თუმცა, ადამიანი რაციონალური არსებაა, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისას ძირითადად არსებულ გამოცდილებას

ეყრდნობა და პროდუქტის მოხმარებამდე მის სანდოობას ამოწმებს. მითუმეტეს მაშინ, როცა საქმე ფულს ეხება.

რა შეცვალა ფინანსური ოპერაციების გაციფრულებამ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია სამომავლო განვითარებისთვის. ფინანსური ოპერაციების გაციფრულებამ შეცვალა მომხმარებლის ქცევა და ცხოვრება. პროცესი გახდა უფრო უსაფრთხო, კომფორტული, სწრაფი და, რაც მთავარია, ეფექტური, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე ადამიანს აღარ სჭირდება დიდი დროის ხარჯვა ელემენტარული ფინანსური ოპერაციების შესასრულებლად. თანხის გადარიცხვიდან დაწყებული, სესხის აღებით დამთავრებული, ყველაფერი ონლაინ, მხოლოდ ერთი აპლიკაციით არის შესაძლებელი.

რამდენიმე წლის წინ ასეთი სერვისი ალბათ წარმოუდგენელი იქნებოდა, თუმცა, ტექნოლოგიები ისე განვითარდა, აღარაფერი გვაკვირვებს. მართალია, საბანკო ბარათები თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებამდე შეიქმნა, მაგრამ მაშინ მისი დანიშნულება მხოლოდ ბანკომატიდან თანხის გამოტანა იყო. დღეს კი საბანკო პლასტიკური ბარათები გაცილებით მეტია - ის ერთგვარი სეიფის, საფულისა და ყულაბის როლს ასრულებს, რომლის ფუნქციებსაც თავიდან ბოლომდე მომხმარებელი აკონტროლებს.

პლასტიკური ბარათების თანამედროვე დანიშნულებამ მეტი უსაფრთხოება მოიტანა, შესაბამისად, ადამიანებმა ფულის ბანკში შენახვა დაიწყეს, რამაც ბაზარზე ახალი იმპულსები გააჩინა - მომხმარებელი, ვისაც ფული ანგარიშზე ჰქონდა შენახული, ნაღდი ფულის ნაცვლად ბარათით გადახდას ამჯობინებდა. აქედან გამომდინარე, სავაჭრო სფეროში გაჩნდა ამ სეგმენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების ინტერესი. შესაბამისად, შეიქმნა ტერმინალები, რომლითაც სავაჭრო ობიექტების დიდი ნაწილი აღიჭურვა. ეშმაკის ბორბალი ისე დატრიალდა, რომ ამ პროცესით ყველა მხარე მოგებული დარჩა - მომხმარებელი, კლიენტი და სერვისის შემქმნელი. ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებამ უმტკივნეულოდ მაინც არ ჩაიარა. თუკი ადამიანებს ადრე ქუჩაში აყაჩაღებდნენ, ან მოტყუებით და თაღლითობით ართმევდნენ ფულს, მსგავსი პრაქტიკა კიბერ სივრცეშიც გაჩნდა. ფიშინგი თაღლითობის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც კიბერ

დამნაშავეები საბანკო ანგარიშებიდან თანხის მოსაპარად იყენებენ. კიბერ დანაშაულის ასეთი სახეობების გაჩენამ დამატებითი სერვისების შექმნაც განაპირობა, როგორცაა პლასტიკური ბარათისა და საბანკო ანგარიშების დაზღვევა. ამ სერვისით მომხმარებლებს შეუძლიათ თავი დაიზღვიონ კიბერ თაღლითობით მიყენებული ზარალისგან და თანხის ანაზღაურება ბანკს მოსთხოვონ. დაზღვევის გააქტიურების შემთხვევაში, მომხმარებლებს სხვა სარგებლის მიღებაც შეუძლიათ. მაგალითად, ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, ბანკი მათ უფასოდ დაუმზადებს ახალ ბარათს.

სერვისები, რომელიც ფინანსური ოპერაციების გაციფრულებამ შექმნა

ფინანსური ოპერაციების გაციფრულებას არაერთი სერვისის შექმნა მოჰყვა. მაგალითად, თიბისი ბანკს აქვს ვებგვერდი [tbcpay.ge](http://tbcpay.ge), რომელიც საქართველოში არსებული ყველა გადასახადის ერთ სივრცეში გადახდის საშუალებას აძლევს მომხმარებელს. იქნება ეს კომუნალურები თუ სხვადასხვა სესხები, მომხმარებელს შეუძლია სულ რამდენიმე წამში დაფაროს ვალდებულებები. გარდა ამისა, ამავე ოპერაციების შესრულება შესაძლებელია ინტერნეტ ბანკში, რომელიც თიბისი ბანკის ყველა მომხმარებელს აქვს.

ფინანსური ოპერაციების გაციფრულებამ საქმე შეუმსუბუქა ბიზნეს სექტორსაც, რომელსაც საქმიანობის მართვა სმარტფონიდან, ან კომპიუტერიდან შეუძლია. თიბისი ბანკის ინტერნეტბანკს აქვს სერვისი, რომლის დახმარებითაც ბიზნესმენებს შეუძლიათ აკონტროლონ თავისი კომპანიების შემოსავლები, გასავალი, მოგება და ამ ყველაფერთან ერთად, თავიანთი საქმიანობაც გააანალიზონ. ამასთანავე, მათ შეუძლიათ სახელმწიფო გადასახადები და ხელფასები ერთი სისტემიდან გასცენ, ზედმეტი თავის ტკივილის გარეშე. ეს მოდერნიზაცია ბუღალტრებისთვისაც დიდი შვება აღმოჩნდა, რასაც თანამედროვე გამოცდილება ადასტურებს

კიდევ ერთი ინოვაცია, რომელიც ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში გამოჩნდა, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციაა. მაგალითისთვის გამოდგება თიბისი ბანკის პირველი ქართული ჩეტბოტი „თი ბოტი“, რომელიც ფინანსური ოპერაციების შესრულებას პირდაპირ ფეისბუქის მესენჯერიდან გთავაზობთ. აღსანიშნავია საქართველოში გამოკვეთილი ახალი ტენდენცია: „ბანკი ფილიალების გარეშე“ - ეს არის სლოგანი



აპლიკაციისა, სახელწოდებით Space. სფეისი ქართველი ახალგაზრდების მიერ შექმნილი აპია, რომელიც თავიდან ბოლომდე ონლაინ ბანკის ფუნქციებს ასრულებს, ისე, რომ არც ერთი ფილიალი არ აქვს და არც ექნება. მისი მუშაობის პრინციპი მარტივია - აპის გადმოწერის შემდეგ მომხმარებლები რეგისტრირდებიან, საკუთარ საბანკო ანგარიშის ინტეგრაციას ასრულებენ და ტრადიციული ბანკის ყველა სერვისით სარგებლობენ. ფინანსური ოპერაციების გაციფრულების კიდევ ერთი რევოლუცია ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტის შექმნაა, რაც თანამედროვე ფინანსურ სამყაროში სრულიად ახალი სიტყვაა. ბლოკჩეინის სისტემა თავისი არსით საჯარო რეესტრს მოგაგონებთ, რომელიც ინახავს ინფორმაციას სხვადასხვა ტრანზაქციებისა თუ დოკუმენტების შესახებ. ბლოკჩეინის დახმარებით ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთში გაცვალონ პროდუქტი, ფული, დაარეგისტრირონ კერძო საკუთრება და სხვა. ეს ყველაფერი კი შუამავლის გარეშე ხდება. ბლოკჩეინი ფაქტობრივად „ხელზე გადახდის“ სინონიმია, ოღონდ ციფრულ სამყაროში.

საქართველოს ბანკი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე საბანკო სექტორში გვთავაზობს ახალ ინოვაციურ პროდუქტებს, ბევრისთვის, მათ შორის სტუდენტებისათვის, სიახლეს არ წარმოადგენს ციფრული ვალუტა და mobile bank გამოყენება. რამდენიმე წელია არა მხოლოდ თბს ბანკის არამეს საქართველოს ბანკის მომხმარებელიც ვარ და ვსარგებლობ მათ მიერ შემოთავაზებულ ციფრული ტექნოლოგიებით. ჩემი აზრით ეს საკმაოდ დიდი დროის ეკონომიაა, მით უფრო დღევანდელ რეალობაში, იქ სადა მუდმივად გადარბენაზე ვართ. საქართველოს ბანკი გვთავაზობს ასევე ინტერნეტ და მობილურ ბანკებს სადაც წარმოდგენილია ტრანზაქციათა საკმაოდ დიდ ნაწილი, დროთა განმავლობაში ისინი იხვეწება, როგორც დიზაინერული თვალსაზრისით, ასევე გამოყენების სიმარტივითაც. საქართველოს ბანკი გვთავაზობს შემდეგ ციფრულ არხებს:

- Ibank
- მობილბანკი
- ონლაინგადახდები
- Business online

- ონლაინკონსულტაცია

BOG ფინტეკი ეს არის საქართველოს ბანკის ახალი სტრატეგიული მიმართულება, რომელიც ღია ბანკინგის (Open Banking) სტრატეგიის დანერგვის ფარგლებში შეიქმნა.

ღია ბანკინგი (open banking) მსოფლიოს წამყვანი ბანკებისა და საფინანსო სექტორის სხვა მონაწილეთა ერთობლივი ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს საბანკო მომსახურების პროცესში ახალი ტიპის ტექნოლოგიური კომპანიების, ე.წ. ფინტეკ სტარტაპების ჩართვის ხელშეწყობას და ამ გზით მომხმარებლებისთვის მომსახურების მრავალფეროვანი არჩევანის შექმნას. საქართველოს ბანკი პირველია როგორც საქართველოში, ისე რეგიონში, ვინც ღია ბანკინგის საკუთარი პროგრამა წარადგინა.

ღია ბანკინგის კონცეფციის დასანერგად საქართველოს ბანკი ქმნის ფინტეკ პროგრამას, რომელიც მოიცავს:

1. ფინტეკ კომუთის განვითარება, რაც უშუალოდ მოიცავს გამოცდილი და სტარტაპერების ურთიერთდაკავშირებას, ლექციების გამართვას და მათ შორის ინფორმაციის გაცვლას.
2. API სერვისები-რაც საშუალებას აძლევს პირებს, ჩაერთონ ტექნოლოგიურ პროგრესში და თავად შექმნან ინოვაციური საბანკო პროდუქტი. იმ პირებს, რომლებსაც აქვს გამოცდილება IT მიმართულებით, შუძლიათ შექმნან საკუთარი აპლიკაცია.
3. სტარტაპერების მხარდაჭერა

საქართველოში ერთ-ერთი პირველი ბანკი, რომელმაც მამტაბურად უარი თქვა ფიზიკური პირების მომსახურების ნაწილის შემცირებაზე პროკრედიტ ბანკია. რამდენიმე წელის მისი ძირითადი მიმართულება ბიზნეს სექტორს წარმოადგენს, თუმცა ფიზიკური პირები გარკვეულ რაოდენობასაც ინარჩუნებს. პროკრედიტ ბანკი მრავალი ინოვაციით გამოირჩევა და ერთ-ერთი მოწინავეა ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვაში. საბანკო მომსახურებების შეთავაზებით, ასევე ფინანსურ განათლებაში მნიშვნელოვანი რესურსების ინვესტირებით, პროკრედიტ ბანკის მიზანია ხელი შეუწყოს დაზოგვის კულტურისა და ფინანსური პასუხისმგებლობის განვითარებას.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ FITCH RATINGS პროკრედიტ ბანკს მიანიჭა “BB”/სტაბილური რეიტინგი, რაც ყველაზე მაღალი შესაძლო რეიტინგია საქართველოში. ბანკი თავის მომხმარებლებს სთავაზობს ინოვაციურ, თანამედროვე, მოსახერხებელ საბანკო მომსახურებას, როგორც მისი საიმედო ბიზნეს პარტნიორი. ბანკმა თვითმომსახურების სივრცე 24/7-ის დანერგვით მომხმარებელს საბანკო მომსახურების მიღება გაუმარტივა. ისინი კომფორტულ გარემოში სასურველ დროს დამოუკიდებლად ასრულებენ საბანკო ოპერაციებს.

სივრცეში უახლესი, მრავალფუნქციური აპარატები განთავსდა, მათ შორის უნივერსალური ბანკომატი, რომელიც დღემდე ქართული საბანკო სექტორისთვის ინოვაციას წარმოადგენს. ჩვეულებრივი ბანკომატისგან განსხვავებით, რომლითაც მხოლოდ თანხის გამოტანა ხდება, უნივერსალური ბანკომატი თანხის შეტანა/განაღების შესაძლებლობას იძლევა, რაც ამ ბანკომატს უნიკალურს ხდის. უნივერსალური ბანკომატით პროკრედიტ ბანკის კლიენტები 2015 წლიდან აქტიურად სარგებლობენ.

პროკრედიტ ბანკი არ წყვეტს ქართულ ბაზარზე მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას და ამჯერად მომხმარებელს კიდევ ერთ სიახლეს, უნივერსალური ბანკომატის გაუმჯობესებულ მოდელს - უნივერსალურ პლიუს სთავაზობს, რომელიც ერთი ტრანზაქციის ფარგლებში 300-მდე კუპონურის შეტანა/გამაღების შესაძლებლობას იძლევა. შეტანილი თანხა ავტომატურად გადაითვლება და მაშინვე აისახება სასურველ ანგარიშზე.

უნივერსალური ბანკომატებით სარგებლობა შეუძლიათ პროკრედიტ ბანკის კლიენტ იურიდიულ და ფიზიკური პირებს. აპარატებით თანხის განთავსება ხორციელდება როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში.

2017 წლის მარტის დასაწყისში ევროპის საინვესტიციო ფონდმა და პროკრედიტ ბანკმა ხელი მოაწერეს InnovFin-ის ხელშეკრულებას ლუქსემბურგში. აღნიშნული შეთანხმება სარგებელს მოუტანს საქართველოში მოქმედ ინოვაციურ მცირე და საშუალო ბიზნესებს, ასევე, მცირე კაპიტალიზაციის საწარმოებს. InnovFin-ის ხელშეკრულება (ამ ტიპის ხელშეკრულება პირველია საქართველოში) გულისხმობს, რომ ევროპის საინვესტიციო ფონდის მიერ გაცემული გარანტიის საფუძველზე და ევროკავშირის კვლევისა და

ინოვაციის პროგრამის „ჰორიზონტი 2020“-ის მხარდაჭერით, პროკრედიტ ბანკს მიეცემა შესაძლებლობა გასცეს სესხები საქართველოში მოქმედ ინოვაციურ კომპანიებზე, მომდევნო ორი წლის განმავლობაში. InnovFin-ის გარანტია ფარავს პროკრედიტ ბანკი საქართველოს მიერ გაცემული თითოეული სესხის 50%-ს. იგეგმება 50 მილიონი ევროს საკრედიტო პორტფელის გენერირება.

„ევროკავშირის InnovFin დაფინანსება ნოვატორებისთვის“ ინიციატივის საფუძველზე, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის „ჰორიზონტი 2020“ ფარგლებში, შეიქმნა InnovFin SME Guarantee Facility . ის გასცემს ვალის დაფინანსების გარანტიებს და კონტრგარანტიებს 25 ათასიდან 7.5 მილიონი ევროს ფარგლებში, რომლის მიზანია ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესების, ასევე მცირე კაპიტალიზაციის საწარმოების (სადაც დასაქმებულია 499-მდე თანამშრომელი) გაუმჯობესებული პირობებით დაფინანსება. აღნიშნულ ინსტრუმენტს მართავს ევროპის საინვესტიციო ფონდი, რომელიც განვითარდა ფინანსური შუამავლების - ბანკების და სხვა ფინანსური დაწესებულებების - საშუალებით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და ასოცირებულ ქვეყნებში. ამ ინსტრუმენტის საფუძველზე, ევროკავშირი და ევროპის საინვესტიციო ფონდი გასცემს გარანტიებს ფინანსური შუამავლებისთვის იმ ზარალის პროპორციულად, რომელსაც გაწევენ ამ ინსტრუმენტის ფარგლებში ვალის დაფინანსებაზე.

2017 წლის ივლისში პროკრედიტ ბანკი წერგავს Direct Banking. "Direct Banking" ევროპაში აპრობირებული საბანკო მომსახურების სტანდარტია, რაც გულისხმობს, საბანკო მომსახურების განხორციელებას ელექტრონული სერვისების გამოყენებით. მომხმარებლის საჭიროებების გათვალისწინებით, მუდმივად ვანახლებთ საბანკო სერვისებსა და პროდუქტებს, ვწერგავთ ინოვაციურ ტექნოლოგიებს, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში უნაღდო ანგარიშსწორების პოპულარიზაციას.

"Direct Banking"-ის ფარგლებში ფიზიკურ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა დაზოგონ დრო და ისარგებლონ შემდეგი უპირატესობებით:<sup>19</sup>

19

<https://www.procreditbank.ge/ge/news/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93>

- ერთიანი, მარტივი ტარიფი;
- სასურველი საბანკო მომსახურების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს, ნებისმერი ადგილიდან;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი თვითმომსახურების სივრცე 24/7-ზე.

## დასკვნა

მსოფლიო ფინანსური კრიზისი მთელ მსოფლიოს შეეხო, მეტ-ნაკლებად საქართველოსაც, რადგან უმეტეს შემთხვევაში მაინც დამოკიდებულები ვართ საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე. ამ მოვლენასთან გასამკლავებლად ბაზელის კომიტეტმა შეიმუშავა საბანკო რეგულირების სპეციალური რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობითაც ცდილობს კრიზისები თავიდან აიცილოს და ბანკებს მკაცრ რეგულაციებს უწევს. ამას ადასტურებს ყოველწლიურად ჩატარებული მონიტორინგიც, რომელთა მეშვეობითაც გამოიკვეთებიან ისეთი ბანკები, სადაც რისკის ფაქტორი მაღალია. რაც შეეხება საქართველოში ბაზელის თანამედროვე რეკომენდაციების დანერგვას, ეს არაა სებ-ის სურვილი, არამედ მიმდინარე პერიოდის რეალობაა. საჭიროა გამოხმაურება და

კვალდაკვალ წინსვლა, რასაც ახერხებს ეროვნული ბანკი. 2017 წლის დეკემბერში ჩატარებული მონიტორინგის მეშვეობით ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივები შეფასდა და სეზ-ის მიერ გამოყენებული მექანიზმები სამაგალითოდ გამოიყენა ბაზელმა ევროპის ქვეყნებისათვის, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი შეფასებაა ჩვენი ქვეყნისათვის.

საწესდებო კაპიტალი ბანკის არსებობის ეკონომიკური და კომერციული საქმიანობის განხორციელების საფუძველია და იგი ბანკის ჩამოყალიბების სავალდებულო პირობას წარმოადგენს, ამიტომაც შემუშავდა ის ნორმატივები, რომელიც იცავს კაპიტალის მინიმალურ დონეს და ასრულებს იმ მნიშვნელოვან ფუნქციებს, როგორცაა: დაცვითი (ბუფერული) ფუნქცია, ოპერაციული და მარეგულირებელი, როგორც ლიკვიდობის პრობლემების თავიდან ერიდება. ლიკვიდობის სტანდარტის შემუშავებამ გამოიწვია განსხვავებული მოსაზრებები ბაზარზე, რადგან საბოლოოდ ეს აისახა მომხმარებელთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. გამოიხატა რა საპროცენტო განაკვეთის ზრდაზე, თუმცა ეს თანმდევი მოვლენაა და მოკლევადიან პერიოდში ესეც გაგრძელდება. აქ საჭიროა სეზ-მა ყურადღება მიაქციოს კომერციულ ბანკებში მიმდინარე პროცესებს. საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ ლიკვიდობის ახალი სტანდარტი ცვლის ძველს და მას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს უტოვებს. ახალი მიმართულება გულისხმობს, რომ ბანკს ჰქონდეს მეტი ლიკვიდური აქტივები, რათა კრიზისულ პერიოდში გაუმკლავდეს ჭარბ მოთხოვნას.

მიმდინარე პერიოდში საქართველოში არსებული თხუთმეტი ბანკი ასრულებს პირველ იარუსზე მყოფი ბანკის მიერ გამოცემულ ბრძანებებს. პილარ-3 ის ჩარჩოში ამზადებს წლიურ ანგარიშებს, რაც ეხმარება მათ შეაფასონ და განავითარონ რისკ-მენეჯმენტი. წარმოდგენილ ანგარიშები დაცული იყო ყველა ის მინიმალური მოთხოვნა, რომელიც წაყენებულ იქნა მათ წინაშე, აქედან გამომდინარე, საწყის ეტაპზე შესაძლებელია, ითქვას, რომ ყველა კომერციული ბანკი ასრულებს ნორმატივებს. საწესდებო კაპიტალის ზრდამ შესაძლებელია გაფილტროს და შეამციროს ბანკების რაოდენობა, რაც, ერთი მხრივ, გამოიწვევს ფულადი რესურსის მიწოდების შემცირებას, რაც აშკარად აისახება ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, მეორე მხრივ, კი დატოვებს მხოლოდ იმ ბანკებს, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტიანად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები და გაამყარონ საბანკო

სანდოობა. მთავარია პროცესები ისე არ განვითარდეს, რომ ეს წამგებიანად აისახოს ქვეყნის მოსახლეობაზე. როგორც ნებისმიერ ინოვაციას, ბაზელის მესამე რეკომენდაციათა ნუსხას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაგრამ მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკასა და საბანკო სექტორის გაძლიერებისათვის, მისი დაწესებულება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მათ შორის საქართველოშიც.

მიმდინარე წელი საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა კომერციული ბანკების სექტორისთვისაც. პირველი იანვრიდან განხორციელებულმა რეგულაციებმა ცხადყო, რომ ჭარბვალუანობის პრობლემა აუცილებლად უნდა გადაჭრილიყო. მეთოდმა დიდი გამოხმაურება და შეფასებათა არაერთგვაროვნება გამოიწვია. უპირობოდ ვთანხმდებით იმაზე, რომ ბანკებმა უნდა შეამცირონ თავიანთი საკრედიტო რისკები, მაგრამ ჩვენი საზოგადოება არაა ეკონომიკურად მდგრადი და სტაბილური. ნეგატიურად ეს პროცესი აისახა მხოლოდ იმათზე, რომლებისთვისაც „იაფი“ ფული ხელმიუწვდომელი გახდა. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანების წილი დიდია ჩვენს საზოგადოებაში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ეთიკის კოდექსის შემოღება, რომელმაც კიდევ უფრო მეტად აამაღლა საიმპიჯო შკალა ინვესტორთათვის. ეთიკა ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილია, ბანკის შეფასებისათვის არსებული გარემო საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მატარებელია. ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ არსებობს ეთიკის ოფიცრის პოზიცია, სასურველია თუ დაინერგება.

კომერციული ბანკების არსებობას მუდმივად სდევს ტექნოლოგიური ინოვაციებიც. ქართული ბანკები მსოფლიო ტექნოლოგიურ ევოლუციას ნელ-ნელა ეწევა და ნერგავს ახალ, საინტერესო სიახლეებს. დღეს არავის უკვირს ინტერნეტ და მობაილ ბანკინგები და მოთხოვნათა დიდი ნაწილი მიმართულია მომსახურების, საბანკო ოპერაციების სწრაფად, უსაფრთხოდ განხორციელებისაკენ. კონკურენტულ გარემოში წინსვლისთვის ქართული მოწინავე ბანკები დიდი ფინანსურ რესურსებს დებენ და ქმნიან შესაძლებლობებს მოხალისე პირებისათვის. თავად იწვევენ ისინი ფინანსური ტექნოლოგიების ინოვაციური პროდუქტის შესაქმნელად, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ტარდება კამპანიები ფინტეკის მხარდასაჭერად როგორც ეროვნული ბანკის, ასევე „თბს“, „საქართველოს ბანკის“ მიერ.

აღსანიშნია უცხოური კაპიტალით მოთამაშე „პროგრედიტ ბანკის“ ინოვაციური პროდუქტებიც, რომელიც ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს.

საბოლოო ჯამში, ნებისმიერი რეგულაცია, რაც იქმნება საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, ემსახურება განვითარებას და არსებული პრობლემების გადაჭრას. თითოეულ პროცესს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი ასპექტები, თუმცა ბევრად აუცილებელია წინასწარ გრძელვადიან პერიოდში შედეგების განჭვრეტა და შემდგომ მათი შეფასება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მოსაშვილი ვ. „ბაზელის კომიტეტის-კაპიტალის საკმარისობის შეფასების ახალი სისტემის ანალიზი“, ჟურნალი „ათინათი“, 2016წ, N4, 159-166 გვ.
2. ოქრუაშვილი ც. „საბანკო ზედამხედველობის სრულყოფილებისათვის“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი ეკონომიკა-ბიზნესი, იანვარ-თებერვალი, 2015წ. 191-194გვ.
3. სამსონაძე ვ. „ოქროს ვნებანი ბაზელ 3-ის ირგვლივ“, ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსებისთვის/აუდიტი , აღრიცხვა და ფინანსები. 2014წ, N8, 42-46



4. ყიფიანი ბ. „საბანკო საქმიანობის რეგულირების სამართლებრივი ასპექტები“, საქართველოს ეროვნული ბანკის ანალიტიკური ჟურნალი/საბანკო საქმე- 2001წ, ბანკი-1. 3-15 გვ.
5. ჭარაია ვ. „საბანკო ზეამხედველობის მარეგულირებელი სტანდარტების დანერგვის თავისებურებები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი ეკონომიკა იანვარ-თებერვალი, 2015წ, 121-142 გვ.
6. kovzanadze I. Global Economy: Post-crisis to Sustainable Development, Bloomington, "Universe", 2018.139-148გვ.
7. [https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2017/ekonomika\\_da\\_sabanko\\_saqme\\_\\_bolo.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2017/ekonomika_da_sabanko_saqme__bolo.pdf)  
(საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველწლიური ჟურნალი-ეკონომიკა და საბანკო საქმე/2017წ. ტომი 5, N1 5-30გვ.)
8. [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2018/annual\\_report.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2018/annual_report.pdf)  
(საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველწლიური ანგარიში 2017წ. 1-292გვ)
9. [https://www.bis.org/publ/cgfs\\_fsb1.pdf](https://www.bis.org/publ/cgfs_fsb1.pdf)  
ფინანსური სტაბილურობის საბჭოს ანგარიში-„FinTech credit Market structure, business models and financial stability implications „ 2017 წ. 39-48გვ
10. [https://www.fsb.org/wp-content/uploads/P140219.pdf?fbclid=IwAR0K4q2DcjrbcUEqR-rNZqD8DghhWD-NWoe\\_MeLX\\_WmHJfKRQFxfj72Inbg](https://www.fsb.org/wp-content/uploads/P140219.pdf?fbclid=IwAR0K4q2DcjrbcUEqR-rNZqD8DghhWD-NWoe_MeLX_WmHJfKRQFxfj72Inbg)
11. ფინანსური სტაბილურობის საბჭოს ანგარიში „FinTech and market structure in financial services: Market developments and potential financial stability implications“ 2019 წ.
12. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=686/ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი>
13. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=683/საქართველოს ერ>
14. ოვნილი ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №176/04 2017 წლის 18 დეკემბერი
15. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3248/საქართველოს ეროვნული ბანკი ბაზელ III-ის სტანდარტებთან დაახლოებას განაგრძობს.>

16. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=2680>/საქართველოს საფინანსო სექტორის კიდევ ერთი წარმატება.
17. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=2613>/ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტმა საქართველოს ეროვნული ბანკი ახალი საერთაშორისო საზედამხედველო მიდგომების შესამუშავებლად მიიწვია
18. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=674>
19. <http://forbes.ge/news/5718/Warbvalianoba-regulireba-da-ekonomikuri-zrda>
20. [http://www.abg.org.ge/Admin1220791176.php?nid=1455&page\\_pl\\_news67=3&allnum\\_pl\\_news67=93](http://www.abg.org.ge/Admin1220791176.php?nid=1455&page_pl_news67=3&allnum_pl_news67=93)
21. <https://sputnik-georgia.com/economy/20171226/238691011/samagaliTo-modeli-saqarTvelos-erovnuli-bankis-muSaobam-msofli-aRiareba-moipova.html>
22. <https://www.bis.org/bcbs/>
23. <https://www.bis.org/bcbs/history.htm>
24. <https://www.bis.org/bcbs/publ/d424.htm>
25. <https://www.bis.org/bcbs/basel3.htm?m=3%7C14%7C572>
26. <https://www.bis.org/bcbs/publ/d427.pdf>
27. [https://www.bundesbank.de/Redaktion/EN/Standardartikel/Tasks/Banking\\_supervision/rechtsgrundlagen\\_basel.html](https://www.bundesbank.de/Redaktion/EN/Standardartikel/Tasks/Banking_supervision/rechtsgrundlagen_basel.html)
28. [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2017/587390/IPOL\\_BRI\(2017\)587390\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2017/587390/IPOL_BRI(2017)587390_EN.pdf)
29. <https://www.bis.org/bcbs/publ/d461.pdf>